საქართველო კანდიდატის სტატუსს მიიღებს! ③

ევროკავშირში – მხოლოდ ჩვენი ტრადიციებით!

საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოლ-ეული სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭიანურებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკანონობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 6 ივნისი. 2022 წ. №70 (9408) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

მტრისას, ამერიკა-რუსეთის დაპირისპირება იქნება მხოლოდ ბირთვული ომი!

იხ. 2 გვ.

შემაკავებელი არაფერი არ არსებობს!

ზურაბ ცუცქირიძე:

ნინო ლომჯარიავ, მიპასუხე, პედერასტები ყველა ქვეყნისა, უკვე შეერთდით?! ④

როგორ და რატომ კამათობენ დასავლეთში რუსეთ-უკრაინის ომის მიზნებზე? ⑧

როგორ გადაარჩინა ზვიად გამსახურდიას ოჯახი ილია ელოშვილის მამამ... ⑪

2022 წელი, 5 ივნისი: ქართული სპორტის ტრიუმფი

ლაშა ტალახაძე

ოთარი სანეგლიძე

გელა ღვინიაშვილი



გელა ზაალიშვილი

იხ. 12 გვ.

„ქართული ოცნების“ პრესსამსახური:

ირაკლი კობახიძის დეტალური განმარტება „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერების მხრიდან ორგანიზებული თავდასხმის ობიექტი გახდა!

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ გადაცემაში „იმედი LIVE“ სტუმრობის დროს, საქართველოსა და მოლდოვას შორის პარალელები გაავლო. მან დეტალურად ისაუბრა საქართველოს უპირატესობებზე, როგორც მოლდოვასთან, ასევე უკრაინასთან მიმართებით. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ქვეყნისთვის ამ მნიშვნელოვანი საკითხის საპირისპიროდ, საკუთარი მხარდამჭერების მობილიზება მოახდინა, – ამის შესახებ ნათქვამია „ქართული ოცნების“ პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„კობახიძის დეტალური განმარტებები, თუ რა უპირატესობები აქვს ჩვენს ქვეყანას, „ორგანიზებული თავდასხმის“ ობიექტი გახდა. ეს მაშინ, როდესაც კანდიდატის სტატუსის მიღებას, საქართველო თვის ბოლოს ელოდება. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე საუბრის დროს აღნიშნავდა, საქართველოს კონსტიტუციაში წერია, რომ ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაცია ქვეყნის ამოცანაა, მოლდოვას კი კონსტიტუციის დონეზე ნეიტრალიტეტი აქვს გამოცხადებული და არც დსთ-ს დატოვებას აპირებს. ეს უტყუარი ფაქტებია და რატომ იძლევა ქილიკის საფუძველს, გაუგებარია. ასევე, კობახიძის განმარტებით „კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, საქართველო მოწინავე ქვეყანაა. მოლდოვას კი, კორუფციის თვალსაზრისით, მძიმე ვითარება აქვს“.

რაც შეეხება, კონკრეტულ პარამეტრებს, თითქმის ყველა პარამეტრით საქართველოს დიდი უპირატესობა აქვს, როგორც მოლდოვასთან, ასევე უკრაინასთან მიმართებით. ამ ფაქტებზე საუბრობდა კობახიძე, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხი, მისი პარტიული აქტივისთვის „ორგანიზებული თავდასხმის“ ობიექტი გახადა“!

ევროპულ ოჯახში სახელმწიფოს გაწევრიანებისათვის ახალ ეტაპზე გადასვლას თავისი პოლიტიკური ვალდებულებები აქვს, სულ მცირე პოლიტიკური სტაბილურობა, რეალური რეფორმები და სხვა, რაც ოპოზიციური სპექტრის პასუხისმგებლობაცაა. ისინი კი ამ პასუხისმგებლობას გაურბიან და პოლიტიკური განწყობით – სტატუსი მერე, ოღონდ ახლა არა! ქვეყანას აზიანებენ, – ამის შესახებ საჯარო მმართველობის დოქტორი თამთა მეგრელიშვილი სოციალურ ქსელში წერს.

„საქართველომ უნდა მიიღოს კანდიდატის სტატუსი, ეს ჩვენი ქვეყნის უალტერნატივო არჩევანია. ამ არჩევანში ოპოზიციაში კოლექტიური სამადაშვილები არ დგანან სახელმწიფოს გვერდით. მათთვის საქართველოსათვის კანდიდატის წევრის სტატუსის მინიჭება არ არის მნიშვნელოვანი, უფრო მეტიც მათი მიზანია კანდიდატის სტატუსის მინიჭება არ მოხდეს „ქართული ოცნების“ პირობებში. საქართველოს კონსტიტუციაში გაწერილია რომ, ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაცია ქვეყნის ამოცანაა, კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, საქართველო მოწინავე ქვეყანაა (საქართველო 55 ქულით 45-ე ადგილზეა, მოლდოვა 36-ქულით 105 ადგილზეა, უკრაინა 32 ქულით – 122 ადგილი) თითქმის ყველა პარამეტრით საქართველოს დიდი უპირატესობა აქვს, როგორც მოლდოვასთან, ასევე უკრაინასთან მიმართებით. სწორედ ამ საკითხზე ისაუბრა ირაკლი კობახიძემ „იმედი LIVE“-ისათვის მიცემულ ინტერვიუში.

სახელმწიფოს გვერდით ოპოზიციური სამადაშვილები არ დგანან!

მან ხაზგასმით აღნიშნა რომ კანდიდატის სტატუსის “მაძიებელთა“ შორის საქართველო უალტერნატივო ლიდერია. ქართული ოპოზიციური სპექტრი პოლიტიკური შიშით უყურებს კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხს, ჩნდება განცდა, რომ ჩვენი ქვეყნისთვის სტატუსის მინიჭებით მათ თავზე ჩამოექცევათ მათ მიერ საგანგებო რეჟიმში დაგეგმილი ანტისახელმწიფოებრივი მიზნები.

ევროპულ ოჯახში სახელმწიფოს გაწევრიანებისათვის ახალ ეტაპზე გადასვლას (კანდიდატის სტატუსის მინიჭებას) თავისი პოლიტიკური ვალდებულებები აქვს, სულ მცირე პოლიტიკური სტაბილურობა, რეალური რეფორმები და სხვა, რაც ოპოზიციური სპექტრის პასუხისმგებლობაცაა.

ისინი კი ამ პასუხისმგებლობას გაურბიან და პოლიტიკური განწყობით – სტატუსი მერე, ოღონდ ახლა არა! – ქვეყანას აზიანებენ. ამ საკითხის ირგვლივ ოპოზიციური სპექტრის ქილიკი, დაცინვა, არასერიოზული განცხადებები აზიანებს თავად ოპოზიციას და არა ირაკლი კობახიძეს ან სახელისუფლებო გუნდს. მის განცხადებებზე ტროლების შესევა, „დაჰაჰავება“ უკვე არაერთხელ წაგებული ოპოზიციის ხელწერა და პოლიტიკოსობანას თამაშის გაგრძელებაა. ითამაშეთ, არ მოცდეთ ითამაშეთ, საქმეს მაინც საქმის მკეთებლები უყვარს“, – წერს მეგრელიშვილი.

რუსეთში აცხადებენ, რომ აშშ-ის გადაწყვეტილება, უკრაინას თანამედროვე სარაკეტო სისტემების და საბრძოლო მასალა მიაწოდოს, მოსკოვსა და შეერთებულ შტატებს შორის პირდაპირი დაპირისპირების რისკს ზრდის.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის სერგეი რიაბკოვის თქმით, მოსკოვი აშშ-ის სამხედრო დახმარების პაკეტს, რომელიც M142 ტიპის მაღალი მობილურობის საარტილერიო სარაკეტო სისტემასაც (HIMARS) მოიცავს – „უკიდურესად უარყოფითად“ განიხილავს. „უკრაინისთვის იარაღის ნებისმიერი მიწოდება, როგორი არგუმენტებიც არ უნდა დაასახელოს ვაშინგტონმა, ზრდის რუსეთის ფედერაციასა და შეერთებულ შტატებს შორის პირდაპირი დაპირისპირების რისკს“, – აღნიშნა რიაბკოვმა. რა საფრთხეებს წარმოადგენს რუსეთი ამერიკისთვის, მოხდება თუ არა ბირთვული იარაღის გამოყენება, ამ ყველაფერს სამხედრო ექსპერტი ამირან სალუქვაძე აფასებს.

მტრისას, ამერიკა-რუსეთის დაპირისპირება იქნება მხოლოდ ბირთვული ომი!



შემაკავებელი არაფერი არ არსებობს!

– რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ თუ ამერიკა გადაწყვეტს, რომ უკრაინას დაეხმაროს თანამედროვე სარაკეტო სისტემის მიწოდებით, ამით მოსკოვსა და აშშ-ს შორის პირდაპირი დაპირისპირება დაიწყება. რითი იმუქრება რუსეთი და რა შეიძლება მოიმოქმედოს?

– უკრაინის ომმა გვაჩვენა, რომ მსოფლიო უსაფრთხოების მოდელი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არსებობდა, ფაქტობრივად, მოშლილია. დღეს ბევრი იმეორებს მსოფლიო შეიცვალაო, არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, მოიშალა. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ბირთვული სახელმწიფოები ჩამოყალიბდნენ - ერთ მხარეს აშშ და ნატო, მეორე მხარეს საბჭოთა კავშირი და ვარშავის ხელშეკრულება, ამ პერიოდში მხარეებმა ფუნდამენტურ შეთანხმებას მიაღწიეს და უსაფრთხოების მოდელი შეიქმნა, რომელსაც უსაფრთხოების არქიტექტურას უწოდებდნენ. ამ მოდელმა დაახლოებით 50-60 წელი იმუშავა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აშშ-მა და რუსეთმა კიდევ დამატებით შეთანხმებას მოაწერეს ხელი და ის შეთანხმება ითვალისწინებდა ბირთვული იარაღის შემცირებას, ბირთვული იარაღის გავრცელების შეზღუდვას, სტრატეგიული შეიარაღებების შემცირებასა და ა.შ., დღეს კი აღარაფერი არსებობს. ერთადერთი მსხვილი შეთანხმება, რომელიც ჯერჯერობით ძალაში დარჩა, არის ბირთვული იარაღის გაუცემლობა. დანარჩენი შეთანხმებები გაუქმდა და ეს ყველაფერ ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში მოხდა.

ეს შესავალი რატომ გავაკეთე და რა საფრთხე არსებობს, რაზეც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა – მხარეებს შორის აღარ არსებობს შეთანხმებების პაკეტები, რომელიც მსოფლიო უსაფრთხოებას არეგულირებდა. შემორჩა მხოლოდ ერთადერთი რამ – ეს არის ხელისუფალთა გონიერება. ის, რომ დღეს ჯანსაღი აზროვნება აღარ არსებობს, ამას უკრაიანაში ვხედავთ, როდესაც რუსეთი ქვეყანაში მასშტაბურად შეიჭრა და ნახევარი უკრაინა მიწასთან გაასწორა. ამ პირობებში, როდესაც ყველაფერი მოშლილია, ერთი ნაპერწკალია საკმარისი იმისთვის, რომ მხარეებს შორის (რუსეთ-დასავლეთს) სერიოზული სამხედრო დაპირისპირება დაიწყოს.

– ამერიკაც და რუსეთიც ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნები არიან. შესაძლებელია დაპირისპირება იქამდე მივიდეს, რომ ბირთვული იარაღის გამოყენება მოხდეს?

– ამერიკას და რუსეთს გააჩნიათ მსოფლიო ბირთვული არსენალის 90%-ზე მეტი. ეს არის ძალიან დიდი ბირთვული პოტენციალი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში გროვდებოდა. აი მოდელმა, რომელიც მე ჩამოვთვალე, მოახერხა ის, რომ გაიყინა ბირთვული შეიარაღება, მაგრამ ბოლო პერიოდში ამ პროცესმა რღვევა დაიწყო. დიდი ხანია რუსეთის უსაფრთხოების პოლიტიკას ვაკვირდები, დაახლოებით, ათი წლის წინ რუსეთმა შეცვალა ჩანაწერი სამხედრო დოქტრინაში. მან დაუშვა პრაქტიკული ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობა, თუკი რუსეთის სასიცოცხლო ინტერესებს საფრთხე დაემუქრება. ამიტომ, სიახლე არ არის რასაც ვამბობ – როდესაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, მიიღო ისეთი წინააღმდეგობა, რომელსაც არ ელოდებოდა. ამის ფონზე გაჩნდა საფრთხე ბირთვული იარაღის გამოყენების. ახლა ჩნდება ახალი საფრთხე, როცა საუბარი დაიწყო შორი მოქმედების რაკეტების სისტემებზე. გაჩნდა საფრთხე – რითი უპასუხებს რუსეთი, თუკი უკრაინა დაიწყებს მეზობელი, მსხვილი ქალაქების დაბომბვას, რომელსაც ეს იარაღები მიწვდება? სწორედ, ეს იყო პასუხი რუსეთის მხრიდან. რამდენად შესაძლებელია ეს ყველაფერი და რამდენად არიან მხარეები წამსვლელები ამაზე, რომ კაცობრიობის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ და ერთმანეთს სამხედრო ძალით დაუპირისპირდნენ, რთული სათქმელია. ასევე, თუ ამერიკა უკრაინას მიაწვდის ისეთ სარაკეტო შეიარაღებას, რომლითაც უკრაინა შეძლებს იერიშის მიტანას რუსეთის დიდ ქალაქებზე და სამხედრო ბაზებს დაბომბავს, აი, სწორედ აქ ისმის კითხვა – რაზეა რუსეთი წამსვლელი? ალბათ, ბირთვული იარაღის გამოყენებაზე წავა, თუკი რუსეთს გაუჭირდება. ვფიქრობ, თეთრ სახლში ამ ყველაფერს ათვიცნობიერებენ. კი, უკრაინას 80კმ-მდე სიშორის რეაქტიულ სისტემებს მისცემენ, მაგრამ არ მიაწვდიან ისეთ სარაკეტო კომპლექსებს, რომელზეც საუბარი იყო და რომლის სიშორეც 300კმ-მდეა. ამერიკა ერიდება ღია კონფრონტაციას რუსთთან. იმედი მაქვს, ეს შენარჩუნდება და მსოფლიო არ დადგება საფრთხის წინაშე. ამერიკა-რუსეთის დაპირისპირება არ იქნება არაბირთვული სისტემების ომი, ეს იქნება 100% ბირთვული დაპირისპირება. შემაკავებელი ორგანო არაფერია, ერთადერთი გაეროა, რომელიც უკრაინასთან მიმართებაში ვხედავთ, რომ უმოქმედოა.

– რატომ არის უმოქმედო გაერო, რატომ ვერ ახერხებს თავის ფუნქციების შესრულებას უკრაინის მიმართ?

– რა თქმა უნდა, სანქციები რუსეთის ეკონომიკაზე მოქმედებს. უბრალოდ, აღნიშნული სანქციები ომს ვერ აჩერებს. დღეს არ არსებობს ომის შემაკავებელი ინსტრუმენტები. რაც შეეხება გაეროს, თუ ვნახავთ, უამრავი სხდომა გაიმართა, თუმცა რაც არ აწყობს რუსეთს, ბლოკავს, მიდის განხილვები, მაგრამ ომი გრძელდება. არ არსებობს შემაკავებელი ინსტრუმენტები.

– ისევ ამერიკა-რუსეთის საკითხს რომ დავუბრუნდეთ, გამოდის, რომ აშშ-მა უკრაინისთვის შორი სიმძლავრის რაკეტების მიცემაზე უკან დაიხია რუსეთის მუქარის გამო?

– უკან დახევას არ დავარქმევდი, რადგან ვხედავთ, ამერიკა და ევროპა ღიად უჭერენ მხარს უკრაინას იმისთვის, რომ მან შეძლოს წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთის აგრესიას. ასევე ვხედავთ, ფრთხილ მოქმედებებს. ეს არ არის უკან დახევა. ფრთხილი მოქმედებებია, რათა მსოფლიომ უარესი საფრთხეები არ მიიღოს. ამავე დროს უკრაინას არ ტოვებენ იმისთვის, რომ რუსეთის აგრესიის წინაშე მარტო არ აღმოჩნდეს. ამასთან გავქვს საქმე.

ქეთი გიორგაძე

კანდიდატის სტატუსი არ გვაძლევს უსაფრთხოების გარანტიებს, მაგრამ... გვახალისებს უკეთესი მუშაობისთვის!..

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლის მთავარი ფრაგმენტები გლობალური უსაფრთხოების ფორუმის ფარგლებში გამართულ პანელურ დისკუსიაზე - „აღმოსავლეთ სამეზობლოში მოკავშირეებთან პარტნიორობის განმტკიცება“

უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა ჩვენი მოწვევისთვის. ძალიან კარგი შესაძლებლობა მოგვეცა საქართველოს ამბავზე, საქართველოს მიღწევებზე, პრობლემებსა და გამოწვევებზე სასაუბროდ.

უპირველეს ყოვლისა, ძალიან მოკლედ მოგიყვებით საქართველოს გამოცდილების – საქართველოს ამბის – შესახებ. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში – 2012 წლიდან – ძალიან ამბიციურ რეფორმებს ვახორციელებთ ყველა მიმართულებით: სასამართლო სისტემა, მედიის თავისუფლება, კანონის უზენაესობა, დემოკრატიის კონსოლიდაცია.

2014 წელს ხელი მოვაწერეთ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას. ეს გახლავთ ჩვენი ქვეყნის გენერალური გეგმა – საქართველოს ევროპეიზაციისა და მოდერნიზაციის გენგეგმა. მას შემდეგ ხელშესახები შედეგები გვაქვს და რამდენიმე მაგალითს მოვიყვან: ევროკავშირთან გაფორმებული თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება, უვიზო მიმოსვლის რეჟიმი და სულ ახლახან ოფიციალურად გავაკეთეთ განაცხადი ევროკავშირში გაწევრების თაობაზე. ეს ისტორიული გადაწყვეტილებაა. რა თქმა უნდა, როდესაც საუბარი მაქვს ინტეგრაციაზე და იმ გზაზე, რომელსაც ჩვენს ხალხთან ერთად გავდივართ, ეს არის ჩვენი ხალხის გადაწყვეტილება. ქართველ ერს სწამს, რომ ევროპული ოჯახის ნაწილი ვართ. საქართველო ევროპას მიეკუთვნება.

რა თქმა უნდა, ახლა ველით ევროკომისიის გადაწყვეტილებას კანდიდატის სტატუსის მონიჭებასთან დაკავშირებით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყველაფერს ვაკეთებთ და როგორც მოგახსენეთ, ხელშესახები შედეგები გვაქვს. მოდით, ავიღოთ ასოცირების შეთანხმება, მისი 45 პროცენტი უკვე შესრულებულია; ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კონტექსტში წინსვლა გვაქვს, თან მნიშვნელოვანი.

საქართველო მოწინავე პოზიციებზეა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ საქართველო ყოველთვის იყო მოწინავე პოზიციებზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. ამიტომ, გადამწყვეტი დროა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეტევის მომწრენი ვართ.

ეს ისტორიული მომენტია. ახლა ევროკავშირის ჯერია. მან უნდა გადაწყვიტოს, დგას თუ არა ევროპა მისი მოკავშირეების – მისი პარტნიორებისა და მსგავსად მოაზროვნე ქვეყნების - გვერდით. კვლავ მინდა ვთქვა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი და გამოწვევებით სავსე დროა.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველომ გამოიარა ომი 2008 წელს - ბევრად ადრე, ვიდრე უკრაინამ, ბევრად ადრე, ვიდრე ყირიმმა. ჩვენ ყველაზე მაღალი ფასი გადავიხადეთ. ვინ გადაიხადა ეს ფასი? ქართველმა ხალხმა. 90-იან წლებშიც ორი ომი გვქონდა რუსეთთან, მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ - დამოუკიდებლობა დავიბრუნეთ.

ამიტომ, ეს არის ჩვენი მიზანსწრაფული არჩევანი. ვიტყოდი, რომ ეს არის ჩვენი ცივილიზაციური არჩევანი!

თუკი ევროკავშირი, ჩვენს რთულ დღევანდელ დროში, დატოვებს ჩემს ქვეყანას და სხვა მსგავს ქვეყნებს: ასოცირებულ ტრიოს – საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, კანდიდატის სიმბოლური სტატუსის გარეშე ვიტყვი, რომ ეს არის შეცდომა, რადგან ჩვენ, ჩვენი მხრიდან, ყველაფერი გავაკეთეთ. ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი რეფორმების გაგრძელება.

მინდა, დავამატო ორიოდე სიტყვა საქართველოს სურვილთან დაკავშირებით, გახდეს ევროკავშირის წევრი. ჩვენ ვესაუბრებით ჩვენს ევროპელ მეგობრებს და ნება მომეცით, მკაფიოდ განვაცხადო, რომ საქართველო არ არის ქვეყანა, რომელიც ყოველთვის რაღაცას ითხოვს დაუმსახურებლად. პირიქით, ჩვენ ვართ წვლილის შემტანნი. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ ჩვენ გადავწყვიტეთ, გაგვეგზავნა ჩვენი მებრძოლები ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. ეს იყო რთული, მძიმე გადაწყვეტილება. ამ ოპერაციას ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ხელმძღვანელობდა ევროკავშირი. და ეს იყო რთული გადაწყვეტილება. ჩვენ გავაგზავნეთ ერთი ბატალიონი, ანუ 500-ზე მეტი მებრძოლი, რათა დავხმარებოდით ჩვენს ევროპელ მეგობრებს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ ყოველთვის შეგვაქვს წვლილი და ჩვენ - ქართველები და საქართველო ყოველთვის ვართ იქ, სადაც ეს ევროპას სჭირდება, სადაც მსოფლიოს, საერთაშორისო საზოგადოებას ვჭირდებით. ასევე არის ნატოს ოპერაციები და საქართველოს მონაწილეობა ამ ოპერაციებში ერაყში, ავღანეთში, სადაც ჩვენ გვყავს 2,000 მებრძოლი, რომელთაგან 35 მამაცი მებრძოლი დაიღუპა, სიცოცხლე შესწირა ამ საერთაშორისო იდეას, ტერორიზმთან ბრძოლას, ასევე ბრძოლას გლობალური მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის. 500-ზე მეტი მებრძოლი მძიმედ დაიჭრა.

ასე რომ, ჩემი დასკვნითი კომენტარი ასეთია: საქართველო არ ითხოვს არაფერს დაუმსახურებლად, სანაცვლოს გარეშე, ჩვენ უბრალოდ ვითხოვთ სამართლიან მოპყრობას.

საქართველოს მოსახლეობის 80%-ზე მეტი მხარს უჭერს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. ვიმეორებ, რომ ეს არის ჩვენი ხალხის არჩევანი. ჩვენ ეს გზა არ დაგვიწყია რამდენიმე წლის წინ. ეს ყოველთვის იყო ჩვენი ხალხის, ჩვენი წინაპრების ოცნება და სურვილი საუკუნეების წინ. რაც შეეხება გამოწვევებს, ოკუპაცია, მიმდინარე ოკუპაცია, რა თქმა უნდა, წარმოადგენს ყველაზე დიდ გამოწვევას. ჩვენი ტერიტორიის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ჩვენ ვცხოვრობთ რუსეთის ჯარებთან ერთად ჩვენსავე ტერიტორიაზე. ისინი დგანან თბილისში მდებარე ჩემი ოფისიდან 40 კილომეტრში. რა თქმა უნდა, საქართველო დაუცველია. რა თქმა უნდა, საქართველო ძალიან რთულ სიტუაციაშია. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ ყოველთვის ვიყავით და ვართ ჩვენი ფუნდამენტური პრინციპების და ღირებულებების ერთგულნი, ასევე ჩვენი ურყევი გადაწყვეტილების ერთგულნი, გავხდეთ ევროკავშირის და ნატოს წევრი ქვეყანა.

იძლევა თუ არა კანდიდატის სტატუსი უსაფრთხოების გარანტიას? რა თქმა უნდა, არა და ჩვენს მიზანს აქ არ წარმოადგენს უსაფრთხოების საკითხის განხილვა. ერთადერთი ორგანიზაცია მსოფლიოში, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების გარანტიებს, არის ნატო. დღეს კი ჩვენ ვსაუბრობთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსზე, რომელიც სიმბოლურია, თუმცა მნიშვნელოვანიც. ჩვენთვის ეს მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ჩემი პასუხია არა, კანდიდატის სტატუსი არ უზრუნველყოფს უსაფრთხოების გარანტიებს საქართველოსთვის, უკრაინისთვის თუ მოლდოვისთვის, მაგრამ ეს არის წახალისება, მეტი მოტივაცია ქვეყნისთვის რეფორმების გაგრძელების გზაზე.

რაც შეეხება პოლარიზაციას, ის ყველგანაა. საქართველოს პოლიტიკა ემოციებით არის გაჯერებული. ჩვენ ვცდილობთ, დეესკალაცია მოვახდინოთ და მინიმუმამდე დავიყვანოთ პოლარიზაცია. მიმაჩნია, რომ დღეს საკმაოდ სტაბილური პოლიტიკური გარემო და პოლიტიკური სტაბილურობა გვაქვს. ეკონომიკური სტაბილურობაც გვაქვს. კარგი და ძლიერი ეკონომიკური ზრდა გვაქვს ქვეყანაში. გასულ წელს 10.4 პროცენტით გაიზარდა საქართველოს ეკონომიკა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 14.4-პროცენტიანი ზრდა ვიჩვენეთ.

რა თქმა უნდა, ოპოზიცია ყველგანაა და მათი დანიშნულება მთავრობის კრიტიკაა, რაც საკმაოდ ნორმალური რამ გახლავთ. ბევრი ოპოზიციური პარტია გვყავს ქვეყანაში. მხოლოდ პარლამენტში 9 პარტიაა. ბევრი ოპოზიციური სატელევიზიო არხი მუშაობს ქვეყანაში და ზოგადად, მედიასივრცე ძალიან დივერსიფიცირებულია. რაც შეეხება პირველ კითხვას, საქართველოს მოლოდინი როგორია შეერთებული შტატებიდან, ამერიკა საქართველოს იმ დღიდან ეხმარება, როდესაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, თან მნიშვნელოვნად. 6 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი აქვს გამოყოფილი ბოლო 3 ათწლეულის განმავლობაში.

შეერთებული შტატები ხელგაშლილია საქართველოს თავდაცვის ძალების დახმარების მიმართულებით: იარაღსაც გვაწვდის და პირადი შემადგენლობის – სამხედრო პირების, ჯარისკაცების – წვრთნებსაც ატარებს.

აშშ ჩვენ გვეხმარება ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე: აძლიერებს ჩვენს დემოკრატიულ ინსტიტუტებს და ასე შემდეგ. ძალიან კარგი თანამშრომლობა გვაქვს და ნამდვილად ძლიერი პარტნიორობა და მეგობრობა გვაკავშირებს. ასეც გაგრძელდება. სტრატეგიული პარტნიორობა ამერიკასთან გრძელდება.

2014 წელს მივიღეთ კანონი დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რათა ქვეყანაში აღმოფხვრილიყო ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია. მართალი გითხრათ, ეს პრობლემას არც წარმოადგენს. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებშიც არსებობს პრობლემები, გამოწვევები ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ კითხვაში გაჟღერებული ინფორმაცია არ წარმოადგენს სიმართლეს. ბატონმა ბრძანა, რომ ოპერატორი მოკლეს ამ კონფრონტაციისას. არ მინდა დეტალებით გადაგღალოთ, მაგრამ ძალიან მოკლედ გეტყვით, რომ პოლიციამ 30-ზე მეტი პირი დააკავა ჟურნალისტებზე და ოპერატორებზე თავდასხმის გამო. მათი გასამართლებაც მოხდა. ისინი ახლა ციხეში არიან. სახელმწიფოს ვალდებულებაც ეს არის, რომ დაიცვას ყველა მოქალაქე, მათი ორიენტაციის მიუხედავად, ან სხვა რაიმე ნიშნით. მინდა გაგახსენოთ, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ყველა მოქალაქე დაცულია.

რაც შეეხება მეორე კითხვას, რომელიც ბატონმა ბროკმა დასვა, რომლის ნახვაც ძალიან მიხარია, კანდიდატის სტატუსის მონიჭება არ ნიშნავს წევრობის მინიჭებას, რაზეც გეთანხმებით და მითქვამს კიდეც. ამიტომ, არ უნდა გვეშინოდეს ამ ახალი დემოკრატიების – საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის – ასეთი შეგულიანების - ასეთი მოტივაციის.

წარმოვიდგინოთ, რომ ევროკავშირმა არ მოგვანიჭა კანდიდატის სტატუსი, ვინ იქნება ამ გადაწყვეტილებით გახარებული? მხოლოდ რუსეთი! ვნახოთ, რა გზავნილს ვუგზავნით ჩვენი რეგიონის ქვეყნებს და სხვებს: ეს ქვეყნები ერთგულნი არიან, რეფორმებს ახორციელებენ, ასოცირების შეთანხმებებს აფორმებენ, უვიზო მიმოსვლის რეჟიმი გააჩნიათ – რაც ხელშესახები შედეგია და რომელსაც ჩვენი მოქალაქეები იყენებენ და მადლობელნი არიან – თავისუფალ სავაჭრო შეთანხმებას აწერენ ხელს, განაცხადს აკეთებენ და რა? ევროკავშირი იღებს გადაწყვეტილებას, რომ ეს სიმბოლური და აზრიანი სტატუსი მათ არ მიანიჭოს. ეს იქნება შეცდომა! ვფიქრობ, რომ ჩვენი ევროპელი მეგობრები უნდა დავარწმუნოთ, რომ სამივე ქვეყანას მიანიჭონ კანდიდატის სტატუსი.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური

ამ სამეულიდან არ ამოვვარდებით – საქართველო კანდიდატის სტატუსს მიიღებს!

ასოცირებულ ტრიოში საქართველო ყველა კრიტერიუმით პირველ ადგილზეა. ქვეყანა ახლა გადაწყვეტილების მოლოდინშია. ევროკომისიამ კითხვარის ქართული პასუხების შესახებ მოსაზრებები ევროკავშირის ლიდერებს, 24-25 ივნისის სამიტზე უნდა გაუზიაროს. ხელისუფლება ამბობს, რომ ოპოზიცია ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თუ უკრაინა და მოლდოვა მიიღებენ კანდიდატის სტატუსს, საქართველომ არ მიიღოს და ამ გზით შეეცადოს ქვეყანაში ვითარების რადიკალიზაციას.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ასოცირების ხელშეკრულებამ ევროპა ყველაზე დიდი მასშტაბით ჩართო ჩვენს ცხოვრებაში და ყველა სფეროში ვხედავთ, რა მნიშვნელობა შეიძინა ევროკავშირმა. როგორც **შალვა პაპუაშვილი** აცხადებს, 45% ასოცირების შეთანხმებისა უკვე შესრულებულია, რაც საამაყო მაჩვენებელია.

იხ. 4 გვ.

ნინო ლომჯარიავ, მიპასუხე, პედერასტები ყველა ქვეყნისა, უკვე შეერთდით?!

იცით, რატომ მივმართავ ასეთი გაკვირვების გამომხატველი კითხვით მაინცდამაინც ნინო ლომჯარიას და არა სხვას? იმიტომ, რომ იგი იბრალებს საქართველოს ე.წ. სახალხო დამცველობას! მართალია ქართველების უდიდეს უმრავლესობას ეს არ სჯერა, მაგრამ ეს სჯერა საქართველოს პრეზიდენტს, ამიტომ მეც, მეტი რა გზა მაქვს, უნდა დავიჯერო ეს ბლეფი.

აქვე პატივცემულ მკითხველს უნდა განვუმარტო ისიც, რომ მე ტერმინ „პედერასტს“ ზოგადი ცნების გამომხატველი ტერმინის შინაარსით ვხმარობ, ანუ ჩემთვის ჰომოსექსუალი, ლესბოსელი, ბისექსუალი და საკუთრივ პედარასტი ერთი და იმავე კასტის წარმომადგენელია და სულაც არ მიმაჩნია სავალდებულოდ მათი მოფერებითი სახელის „ლგბტ“-ს გამოყენება. და რადგან ჩვენი პატივცემული „სახალხო დამცველი“ ამ ლგბტ-ების თავდადებული გულშემატკივარი და დამცველია (სხვა ოხრებთან – ხაზინის ქურდებთან, ტელე და მედიატერორისტებთან, ხულიგან „ჟურნალისტებთან“ ერთად!), ამით იგი თავს აიგივებს მათთან, ამიტომ მივმართე ასე: პედერასტებო ყველა ქვეყნისა უკვე **შეერთდით**-მეთქი? თორემ, ისე სულაც არ ვიცი და არც მაინტერესებს მისი სექსუალური ორიენტაციები.

ახლა, თქვენი ნებართვით, ისევ ჩემი მიმართვის ადრესატს დავუბრუნდები.

იმანო, ნინო, შენ თუ მართლა სახალხო დამცველი ხარ, მაშინ, შე ქალო, ქართველთა ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტის განწყობას, მრწამსსა და მზაობას რატომ არ ითვალისწინებ, რომლებიც წინააღმდეგნი არიან იმისა, რომ პედერასტებმა პრაიდი დედაქალაქის მთავარ გამზირზე (ან სხვა გამზირებზე!) ჩაატარონ და თავიანთი ფერადი დროშები აფრიალონ, თან ნახევრად შიშველი უკანალები აქიცინონ. კაცებზე ვამბობ, თორემ ლამაზი შიშველი ქალის დანახვის წინააღმდეგი (შემოფარებულში!) არც ჩვენ ვართ, რადგან მათი მკერდი “საამო არის საცქერლად“. ერთი პროცენტი ავადმყოფი ადამიანების სურვილების გამო რატომ გვამუნათებ და დიდი უცხოელი პედერასტების სახელით რატომ გვემუქრები, ჰომოფობიასა და სისასტიკეში რატომ გვადანაშაულებ? ამას გასწავლის ყბადაღებული დასავლური დემოკრატია? ანდა, ნუთუ ეს არის ევროატლანტიკური ღირებულებანი?

შენგან პასუხს კი არ ველი, ისე მინდა გკითხო: კონტინენტური ღირებულებები როგორ წარმოგიდგენია? ევროპული, აზიური, ავსტრალიური და ა.შ.

ეს კითხვა ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილს უნდა დავუსვა, ჭკვიანი კაცია და იქნებ იმას ჰქონდეს პასუხი!

17 მაისს, სადღაც დარბაზში რომ შეიკრიბეთ, სადღაც სეფე სიტყვით გამოხვედი, რატომ არ უთხარი იმ უბედურებს (კაცს რომ კაცთან, ქალს კი ქალთან სექსი რომ მოუნდება, უბედურია, აბა რა არის?), რატომ იტანჯავ-თქო თავს, წადით სადმე ქალაქგარეთ, უმჯობესია ტყეში, ხალხის თვალსაწიერიდან შორს და იქ ჩაიდინეთ თქვენი სიგლახე, აფრიალეთ ფერად-ფერადი დროშები, მე კი ვიქნები იმის გარანტი, რომ იქ არავინ მოგაკითხავთ და არც არავინ დაგარბევთ, ისე, როგორც საწოლ ოთახში არ გივარდებიან ეს „ჩამორჩენილი“ და „ქაჯი“ ქართველები-თქო. შენ კი რა უთხარი: ცოტა მოითმინეთ, მომავალი თქვენია და ამ „ჭეშმარიტებას“ მალე ვაზიარებთ ველურ ქართველებსო, არა? დიდი ეჭვი მაქვს, რომ ასე ეტყოდით!

რა მაინტერესებს იცი? – ვინ და როგორ ჩაგაგონა, რომ შენი ჭკუის სასწავლებელია ქართველი ხალხი, შენ უნდა აგვიხსნა ჩვენ, სხვათა შორის, მის უწმინდესობას, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება, რა არის კაცთმოყვარეობა და რა არის კაცთმოძულეობა?! შენ მართლა გგონია, იმანო, რომ რუსთაველისა და დავით აღმაშენებლის, გურამი შვილისა და ილია ჭავჭავაძის ქვეყანაში რაღაც ევროკავშირის პრეზიდენტისა, თუ ნატოს მაღალი ჩინოსნების შეგონებებს ვინმე სიბრძნედ მიიჩნევს და მათი „რჩევებიდან“ გადახვევა უპატიებელ ცოდვად ჩაითვლება?

შენს გარდა, საქართველოში ერთ ათასამდე კაცს, მართლა ჰგონია, ალბათ, რომ ვინმე შარლ მიშელმა, თუ ბუკიკიომ უნდა დაგვიდგინონ ცხოვრების წესი და მომავლის სვლა-გეზი. მაგრამ მე მათ კი არა, შენ მოგმართავ, რადგან სახალხო დამცველის პოსტი გიკავია და შენს აზრსა (თუ სრულ უაზრობას), როგორც ვატყობ, პატივს სცემენ ჩვენი პატივცემული პრეზიდენტი და ზოგიერთი სხვა მაღალჩინოსანნი. იქნებ კიდეც „ეშინიათ“ შენი, რადგან ჯერაც ძალიან ხშირად გახსენებენ და შენეულ შეფასებებსაც იმეორებენ ხოლმე. რა ვიცი, შეიძლება ასეც არის, ამაზე უარესებიც გვინახავს.

ქვეყნის დამაქცევრებზე ზრუნვასა და მათ ადვოკატობას რომ გადაჰყევი, ციხეებსა და ციხის გარეთ, ავადმყოფი, უმწეო, უფლებაშელახული და სასოწარკვეთილი არავინ გინახავს, რომ გამოსარჩლებოდი? ერთხელ ამორჩეული (თუ სხვისგან ნაკარნახევი) სვლაგეზით თუ დადიხარ, რას ნახავდი! იმან მაინც არ გაგიჩინა კითხვა, როგორ ხდება, როცა ეროვნული სიწმინდეების დამცველებს, ვინმე უზრდელი და ტუტუცი ვაი-ჟურნალისტის საჯარო ხულიგნობას საჯარო ალიყურის დახვედრებისთვის 5-5 წლით ციხეში აგზავნიან, ხოლო 48 მილიონი ლარის გამფლანგველს ციხიდან ათავისუფლებენ! აბა, რაზე ფიქრობ, ნეტავი, და რისთვის გაძლევენ ამხელა ხელფასს?

შენ რომელი აღმარებლობის ხარ, არ ვიცი; იქნებ სულაც მებრძოლი ათეისტი ხარ, როგორებიც ბევრნი იყვნენ გასული საუკუნის ოციანი წლების საქართველოში! ასეც რომ იყოს, უფლება არ გაქვს უდიერად მოიხსენიო ჩვენი (თუნდაც სხვისი!) რელიგიური სიწმინდეები: ეკლესია, მეჩეთი, სინაგოგა და რელიგიების საჭეთმპყრობელები. შენ და შენგან წაქეზებულებს არაერთხელ ჩაუდენიათ ამგვარი ქმედებები. საიდან გაქვს, იმანო, ასეთი სითამამე თუ თავხედობა (ზღარგადასული სითამამე თავხედობაა, სწორედ!)!

იმანო, ნინო, შენ თუ მართლა მიგაჩნია შენი თავი სახალხო დამცველად, ნუთუ იმას ვერ ხვდები, რომ რუსეთთან კიდევ ერთი ომი, ისიც ახლა, საქართველოს სრული განადგურებით დამთავრდება. თუ ხვდები, შექალო, რატომ ერთი საპროტესტო სიტყვა არ წამოგცდება იმათ მიმართ, ვინც რუსეთთან ომში ჩვენს ჩათრევას ცდილობს. პროტესტი გამოთქვა კი არა, პირიქით, შენც მათ გვერდით დგახარ. კი მარა, რომელი ხალხის დამცველი ხარ შენ? შენც ძველი სოროსელი ხომ არ ხარ? სხვათა შორის, ქვეყნის მოღალატეები, უფსკრულში გადაჩეხვისკენ ქვეყნის წამქეზებლები მე, პირადად, გონებრივ და სულიერ პედერასტებად მიმაჩნია. მართლა და მართლა, პედერასტებო ყველა ქვეყნისა, მართლა აქ შეერთდით? მითხარი ერთი!

ამ წერილს ხელს მარტო მე ვაწერ. ასობით ნაცნობ-მეგობარი მთხოვდა, რომ ჩემთან ერთად მათაც მოეწერათ ხელი, მაგრამ მე უარი ვუთხარი. ხუთასზე მეტი პუბლიცისტური წერილი მაქვს გამოქვეყნებული, მაგრამ კოლექტიურ წერილზე ხელი არასოდეს მომიწერია, ნეკროლოგებსა და საიუბილეო მილოცვებს არ ვგულისხმობ... ეს იმიტომ ვთქვი, იმანო, ნინო, რომ არ იფიქროთ, ერთი ვიღაცა რაღაცას წერს, ყურადღებამისაქცევი არ არის და არც პასუხისგაცემა მევალებაო, შეცდებით! გევალებათ, თუ თქვენი მოვალეობა, როგორც სახალხო დამცველისა, გაცნობიერებული გაქვთ! თუ არა და... ქართველი ხალხი, თუ ხალხად დარჩა ბოლომდე, პასუხს მოსთხოვს იმათ, ვინც მას „სახალხო დამცველებს“ უნიშნავდა!

ზურაბ ცუცქირიძე,
საქართველოს მოქალაქე, ამომრჩეველი, უპარტიო.
ტელ. 555 56 75 37

საქართველო კანდიდატის სტატუსს მიიღებს!

(მესამე ბოლოდან) **„იმ აგრესიამ, რომელიც რუსეთის მხრიდან უკრაინის მიმართ ვიხილეთ და ჯერ კიდევ მოწმე ვართ, ბევრი რამ სხვანაირად დაანახა თავად ევროკავშირს, მათ შორის, მისი როლი ევროპაში, უსაფრთხოების სისტემაში, სხვა ყველა სფეროში, რომელიც პოლიტიკურად და გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანია. ამ ომმა ბევრი რამის გადააზრებისკენ გვიბიძგა. რუსული აგრესია საქართველომ 90-იან წლებში და ახლახან, 2008 წელსაც გამოიარა. დღემდე, 2008 წლის ომი დაგმობის საგანია ევროპის მხრიდან, თუმცა, ვნახეთ, რომ მაშინ, სამწუხაროდ, ბოლომდე ჯერ კიდევ არ იყო გააზრებული, თუ რასთან გვქონდა საქმე.**

ამ შეცვლილმა ვითარებამ ევროკავშირი დააყენა იმ მდგომარეობაში, რომ, როგორც ჩანს, არის გააზრებული, რომ საჭიროა უფრო და უფრო მკაფიო, პირდაპირი და ცალსახა ნაბიჯები იმ სამი ქვეყნის მიმართ, რომლებსაც ხელი აქვთ მოწერილი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებებზე. ვფიქრობ, რომ ახლა არის მომენტი, როდესაც ევროკავშირმა უნდა მიიღოს თამამი და მკაფიო გადაწყვეტილებები და საქართველოს, მოლდოვას და უკრაინას დაანახოს საკუთარი სოლიდარობა, ვინაიდან სამივე ქვეყანა განგრძობითად არის რუსული აგრესიის ობიექტი“, – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

ანალიტიკოსების შეფასებით, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობის შანსი 50ჰ50-ზეა. **დავით ზარდიაშვილის** განცხადებით, საქართველო არის ევროკავშირის ასოცირებული წევრი. არსებობს ასოცირების ხელშეკრულება, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს და ევროკავშირის ოფიციალური პოლიტიკა არის ურთიერთდაახლოება. მისი თქმით, ეს არაფრით არ შეიცვლება იმისდა მიუხედავად, კანდიდატის სტატუსს მიიღებს, თუ არა ქვეყანა.

„რაც შეეხება ჩვენს პოლიტიკურ დღის წესრიგს, ჩვენს დაახლოებას ევროპასთან, ან რასაც ეძახიან – ასოცირების დღის წესრიგს, თუ შეიცვლება კანდიდატის დღის წესრიგი, შეიძლება დაახლოებისთვის უფრო ფართო შესაძლებლებები გაჩნდეს, პოლიტიკაში რაღაცა ცვლილებები მოხდეს, მაგრამ პრინციპულად ეს რაიმე სიახლეს არ ნიშნავს. მთავარი პოლიტიკა – საქართველოს ევროპასთან დაახლოება უცვლელია.

ოპოზიციას რა უნდა, გასაგებია. ოპოზიციას უნდა ხმაურის შექმნა, მორიგი ტყულის გამოძერწვა აქედან, რომ საქართველო ევროკავშირს შორდება. ყველაფერს გამოიყენებენ იმისთვის, რომ დესტრუქცია მოხდეს. წინასწარ ქმნიან ისეთ ვითარებას, რომ თითქოსდა საქართველოს ხელისუფლება არის პრორუსული, ხან რას აბრალებენ და ხან რას. არაფერი ახალი და მოულოდნელი ოპოზიციის ამ ქცევაში არ არის, 2012 წლიდან ივანიშვილს და ხელისუფლებას რას აღარ აბრალებენ, რაც მოსაბეზრებელიც არის, უკვე დაგვღალეს.

ევროკავშირს თავისი პროცედურები აქვს. ზოგიერთ ქვეყანას ამისთვის წლები სჭირდება და ჩვენ ძალიან სწრაფად მოგვცეს ამის შესაძლებლობა. ის, რომ უკრაინის მოვლენების გამო პროცესი დაჩქარდა, ეს თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ დაჩქარებული პროცესია, პოლიტიკური ვითარება არის ასეთი, რომ, ალბათ, ამ სტატუსს მოგვცემენ“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას **დავით ზარდიაშვილი.**

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** დარწმუნებულია, რომ ოპოზიციის მცდელობის მიუხედავად, ქვეყანა კანდიდატის სტატუსს მიიღებს. მისი თქმით, სამეულისთვის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილება იყო პოლიტიკური, რაც განპირობებული იყო იმ საერთაშორისო ვითარებით, რაც გამოიწვია უკრაინაში რუსეთის შეჭრამ.

„აქედან იქნა გადაწყვეტილება მიღებული. შესაბამისად, გამოდის, რომ ზოგადად, ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება და ამიტომ, მიუხედავად იმისა, რას გააკეთებს ხელისუფლება, ან ოპოზიცია, ვფიქრობ, რომ, დიდი ალბათობით, ჩვენ ამ სტატუსს მივიღებთ და ამ სამეულიდან არ ამოვვარდებით. რაც შეეხება ბრალდებებს, ცხადია, რომ ხელისუფლება თავს იზღვევს და თუ რაღაცა მოხდება, ოპოზიციას დააბრალოს. ოპოზიციაც, ამ შემთხვევაში, თავის მართლების პოზიციაშია.

თუ რამე პრეტენზიები აქვთ დასავლელ პარტნიორებს, ეს ხელისუფლებამაც კარგად იცის, ოპოზიციამაც და საზოგადოებამაც. ახალი და მოულოდნელი არაფერი არ ხდება, ყველაფერი საკმაოდ გარკვეულია. შესაბამისად, დიდი ალბათობით, ჩვენც მივიღებთ ამ სტატუსს. თუ ეს სტატუსი ვერ მივიღეთ, ხელისუფლებას არ უშველის რაღაცების ოპოზიციაზე გადაბრალება. ხელისუფლება არის ყველაფერზე პასუხისმგებელი და ყველა მექანიზმი ჰქონდა იმისთვის, რომ თუ რამე პრობლემები ჩნდებოდა, ეს პრობლემები მოეგვარებინა. ოპოზიცია ბრიუსელშიც იმას ლაპარაკობს, რასაც აქ, აქ ახალი და მოულოდნელი არაფერია. 2012 წლიდან ამას ვუყურებთ“, – დასძინა **ვახტანგ ძაბირაძემ.**

თამთა ქარჩავა

ზურაბ კაკალიძე:

რუსებს უკან უნდა დავახევინოთ, ეს ქართველების ომიცაა!

ლუგანსკის ოლქის ქალაქ სევეროდონეცკში მებრძოლი ქართველი მოხალისე **ზურაბ კაკალიძე** აცხადებს, რომ უკრაინაში მიმდინარე ომი ქართველების ომიცაა.

„რუსებს უკან უნდა დავახევინოთ. ამას ერთი დღე დასჭირდება, ერთი თვე, თუ ერთი წელიწადი, მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენ ისტორიის სწორ მხარეს ვართ. ეს ქართველების ომიცაა“, — განაცხადა ზურაბ კაკალიძემ Reuters-სთან საუბრისას. უცხო ქვეყნის კიდევ ერთმა მოხალისემ, რომელმაც, გამოცემის ცნობით, ვინაობა არ დაასახელა, აღნიშნა რომ უკრაინაში ხალხის დასაცავად იბრძვის.

„მე აქ ხალხის დასაცავად მოვედი და მხოლოდ გამარჯვებით წავალ. დიდება უკრაინას“, — განუცხადა მან გამოცემას პორტუგალიურ ენაზე.

ცოტა ხნის წინ უკრაინამ სევეროდონეცკში რუსების მიერ აღებული ტერიტორიის ნაწილის დაბრუნების თაობაზე გაავრცელა ინფორმაცია. შესაბამისი განცხადება ლუგანსკის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის მეთაურმა სერგეი გაიდაიმ გააკეთა:

„აქამდე რუსული ძალები სევეროდონეცკის დაახლოებით 70%-ს აკონტროლებდნენ, ახლა ჩვენ დავიბრუნეთ ამ დაკარგული ტერიტორიის დაახლოებით 20%“, უკრაინის შეიარაღებული ძალების ცნობით, რუსული ძალები ქალაქზე შეტევას კვლავ აგრძელებენ.

რუსეთის მიერ დაწყებული ფართომასშტაბიანი ინტერვენციის შემდეგ უკრაინაში ამ ქვეყნის დასახმარებლად არაერთი ეროვნების მოხალისე ჩავიდა. ომის დაწყების პირველივე დღეებიდან უკრაინაში რამდენიმე ასეული ქართველი მოხალისე იბრძვის. რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში უკრაინის მიწაზე 12 ქართველი მოხალისე დაიღუპა.

სასცენო სამოსი ანსამბლ „დიდგორს“

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ ანსამბლ „დიდგორს“ ტრადიციული სასცენო სამოსი გადასცა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი, თეა წულუკიანი, ანსამბლ „დიდგორის“ ხელმძღვანელი გივი აბესაძე და ანსამბლის წევრები, ასევე ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე.

კულტურის მინისტრის განცხადებით, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ფოლკლორული ანსამბლების წინაშე ბევრი გამოწვევაა, მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა მაღალი ხარისხის, სპეციალური ესკიზების მიხედვით შექმნილი ტრადიციული სასცენო სამოსის ნაკლებობა. სახელმწიფოს მხრიდან ანსამბლების სამოსით უზრუნველყოფა დაახლოებით 15 წელია არ მომხდარა, რის გამოც, სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2021 წლის დეკემბერში გამოყოფილ იქნა 197 999 ლარი და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 12 სხვადასხვა ანსამბლის ხელოვანებს მათ საჭიროებაზე მორგებული სასცენო სამოსი და აქსესუარები ექნებათ.

კულტურის სამინისტროს ცნობით, ანსამბლებისთვისა და სოლისტებისთვის სასცენო სამოსის შესაძენად ტენდერი 2021 წლის 8 დეკემბერს გამოცხადდა.

„ტრადიციული სასცენო სამოსის შეკერვას ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ფაფანაკი“ უზრუნველყოფს. პროექტის ფარგლებში ჯამში გათვალისწინებულია 70 კაბისა და 277 ჩოხის კომპლექტი დამზადება და მათი გადაცემა იგეგმება შემდეგი ანსამბლებისა და სოლისტებისთვის: სსიპ ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი; სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“; სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ერისიონი“; სსიპ ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი „ბასიანი“; მესტიის ფოლკლორული ანსამბლი „რიჰო“; სსიპ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მესტიის სალოტბარო სკოლის ანსამბლი; უხუცესთა ფოლკლორული ანსამბლი „ბერმუხა“; ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ჯგუფი „ძირიანი“; ფოლკლორული ანსამბლი „შილდა“; ა(ა)იპ ანსამბლი „ჩვენებურები“; სოლისტები — ლელა თათარაიძე და ტრისტან სიხარულიძე.

კომპანია „ფაფანაკის“ მიერ დამზადებული სამოსი სამინისტროს ეტაპობრივად ბარდება. ამ დღეებში, კულტურის სამინისტრომ რიგით მეორე ფოლკლორულ ანსამბლს გადასცა ტრადიციული სამოსი. ანსამბლ „დიდგორს“ ჩოხის სრულიად ახალი, 15 კომპლექტი გადაეცა. პირველი ანსამბლი, რომელსაც სასცენო სამოსი სამინისტრომ მიმდინარე წლის 15 აპრილს გადასცა, იყო ანსამბლი „სახიობა“ (ჩოხის 13 კომპლექტი). აღსანიშნავია, რომ თითოეული ანსამბლისა და შემსრულებლისთვის გადასაცემი სასცენო სამოსის თავისებურებები და სახეობა მათი საჭიროებების შესწავლის საფუძველზე განისაზღვრა.

პროკურორებმა სტუდენტებთან საჯარო ლექცია გამართეს

საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიულ დღესთან დაკავშირებით, სტუდენტებთან შეხვედრის კვირეულის ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის პროკურორებმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან, ასევე სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის პროკურორებმა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან საჯარო ლექცია გამართეს, — ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

ღონისძიებაზე პროკურორებმა სტუდენტებს საქართველოს პროკურატურის როლზე, ფუნქციებზე, უწყებაში განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებზე, საქართველოს პროკურატურის 2021-2027 წლების სტრატეგიაზე და სტაჟირების პროგრამასთან დაკავშირებით მიაწოდეს ინფორმაცია. ასევე სხვადასხვა საკითხებზე გაიმართა დისკუსია; პროკურორებმა სტუდენტებისთვის საინტერესო კითხვებს უპასუხეს.

საქართველოს პროკურატურისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის უწყების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მათი შეხედულებების და მოსაზრებების გაზიარება.

„ექიმის საათი“ პილოტირების მეორე ეტაპი დასრულდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისისა და ორგანიზაცია „თანადგომის“ ერთობლივი პროგრამის „ექიმის საათი“ მეორე ეტაპის შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა.

შემაჯამებელ შეხვედრაზე თამარ მახარაშვილმა პროგრამაში ჩართულ მხარეებს თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა და მოსწავლეებში უსაფრთხოების საკითხებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ცოდნის გაღრმავებისა და ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

მინისტრის პირველი მოადგილის განცხადებით, სკოლის ექიმი საგანმანათლებლო პროცესშიც ჩაერთვება და შესაბამისად მოსწავლეებს მიეცემათ საშუალება, პროფესიონალისგან მიიღონ ინფორმაცია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: ჰიგიენის ნორმებისა და პირადი სივრცის დაცვა, ჯანსაღი კვება, კონფლიქტების მართვა, თანატოლებთან ურთიერთობა, უცხო ადამიანებთან მოქცევის წესი და გენდერული საკითხები.

ღონისძიებაზე პროგრამის პილოტირებაში ჩართული სკოლების წარმომადგენლებმა პრეზენტაციები წარმოადგინეს და დამსწრე საზოგადოებას „ექიმის საათის“ ფარგლებში განხორციელებული აქტივობები გააცნეს.

მარიუპოლი - უკრაინელთა გეტო

„მარიუპოლი მიზანმიმართულად და სისტემატურად გარდაიქმნება უკრაინელების გეტოდ“, — აცხადებს მარიუპოლის მერის მრჩეველი, პეტრო ანდრიუშენკო. ის წყლის პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას.

„სასმელი წყლის მისაღებად, ახლა რიგში რეგისტრაციაა საჭირო. საუკეთესო შემთხვევაში, ყველაზე ადრე, 2 დღეში შევძლებთ სასმელი წყლის მიღებას. ამის მთავარი მიზეზი ბუნებრივ წყაროებში წყლის დონის კლებაა“, — წერს ანდრიუშენკო.

ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ცენტრი გაიხსნა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩმა, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურ დირექტორ ჯაბა სამუშიასთან ერთად, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში Horizon Europe-ის საგრანტო ოფისის გახსნის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა.

ნუნუ მიცკევიჩმა, სიტყვით გამოსვლისას, Horizon Europe-ის პროგრამის კონკურსებში საქართველოს წარმომადგენლების ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, Horizon Europe-ის საგრანტო ოფისი ევროკავშირის ჩარჩო პროგრამის საგრანტო კონკურსებში ქართველ მეცნიერთა წარმატების მაჩვენებლის გაუმჯობესებას, მეცნიერების ინტერნაციონალიზაციას და საქართველოს მეცნიერთა ინტეგრაციას შეუწყობს ხელს ევროპულ სამეცნიერო სივრცეში.

ოფისის კოორდინატორები ქართველ მკვლევართა ჯგუფებს აქტიურ დახმარებას გაუწევენ კონკურენტუნარიანი საპროექტო განაცხადების მომზადებასა და შემდგომში მის მართვაში. აღნიშნული სივრცე ქართველ და აფხაზ მკვლევრებს შესაძლებლობას მისცემს, ისარგებლონ იმავე პირობებითა და უფლებებით, როგორითაც ევროკავშირის ქვეყნების სამეცნიერო და ინოვაციების სფეროს წარმომადგენლები სარგებლობენ. რაც შეეხება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ცენტრს, ის ქართველ და აფხაზ სტუდენტებსა და მკვლევრებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას შეუწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ბენეფიციართა 45%-ზე მეტი აფხაზეთიდან დევნილი სტუდენტია, შესაბამისად, სასწავლო გარემო მაქსიმალურად არის მორგებული დევნილ სტუდენტთა საჭიროებებზე და მათთვის უნივერსიტეტი სხვადასხვა მხარდამჭერ აქტივობებს ახორციელებს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით მთელი ქვეყნის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს Horizon Europe-ის საგრანტო ოფისების ქსელის გაფართოება, რომელიც ეტაპობრივად საქართველოს ყველა საჯარო უნივერსიტეტს მოიცავს. საგრანტო ოფისის ფუნქციაა ქართველ მკვლევართა ჯგუფების ხელშეწყობა კონკურენტუნარიანი საპროექტო განაცხადების მომზადებასა და შემდგომი პროცესების მართვაში.

2021 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის უშუალო ჩართულობით, საქართველო ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ახალი ჩარჩო პროგრამის, Horizon Europe-ის წევრი გახდა. ასოცირების საერთაშორისო შეთანხმებას ბრიუსელში ხელი მოაწერეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, მიხეილ ჩხენკელმა და ინოვაციის, კვლევების, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის საკითხებში ევროკომისარმა მარია გაბრიელმა. სწორედ აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე დაფუძნდა საქართველოში Horizon Europe-ის ეროვნული ოფისი.

ქართული გვარდიის პირველი მეთაური

ვალიკო ჯუღელის „მძიმე ჯვარი“ ასი წლის შემდეგ

„მძიმე ჯვარი“ – სახალხო გვარდიელის ჩანაწერები“ – საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მეთაურმა ვალერიან (ვალიკო) ჯუღელმა თავის სახალხო გვარდიელი ამხანაგების ხსოვნას მიუძღვნა.

„ომის დროს დღესასწაული ვერ შედგება“!

სახალხო გვარდიელები (მათ შორის ვალიკო ჯუღელი) ჯავშნოსან მატარებელთან, 1918 წელი.

საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს სახალხო გვარდიის სარდალი (1917-1921 წწ.) და „დამკომის“ წევრი ვალიკო ჯუღელი, რომელიც მოგვიანებით, 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობდა და ამისთვის დახვრიტეს, თავისი ჩანაწერების ბოლოსიტყვაობაში წერს, არ მეგონა, თუ გამოქვეყნდებოდა და თან ასე მალეო. „უხერხულად და უინტერესოდ“ მიმაჩნდა, მაგრამ ბოლოს დავრწმუნდი, რომ ეს ჩანაწერები მხოლოდ მე არ მეკუთვნის, რადგან მასში აღწერილია უმნიშვნელოვანესი და სრულიად ახალი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაშიო:

„რევოლუციამ მე დემოკრატიის ინტერესების შეიარაღებული დაცვის აქტიურ მონაწილედ მაქცია. ეს ძალიან საპატიო, მძიმე, წმინდა და დანაშაულებრივი საქმეა. არ შეიძლება რევოლუციის კეთება ლაიკის ტყავის ხელთათმანებით! ხშირად არა მარტო ხელები ბინძურდება, არამედ სულიც... მაგრამ ვის ეყოფა გამბედაობა და კეთილსინდისიერება, რომ ქვა მესროლოს? ეს ქვა ხომ ჩვენი საფლავების ბორცვებს დაეცემა...

და დარჩება ბკივილი, სასტვენი, გაუყუჩებელი ბკივილი“

ვალიკო ჯუღელის „მძიმე ჯვარი“ პირველად რუსულ ენაზე, 1920 წლის ბოლოს გამოქვეყნდა, თუმცა დაზუსტებით არ ვიცით, დღიურები რუსულად დაიწერა თუ ამ ენაზე შემდგომ, უფრო ფართო საზოგადოებამდე მისი მიტანის მიზნით ითარგმნა. ფაქტია ის, რომ გამოცემა „სახალხო გვარდიელში“ ნაწყვეტები „მძიმე ჯვრიდან“ ქართულადაც იბეჭდებოდა. საბოლოოდ კი წიგნი, როგორც ანტისაბჭოთა ლიტერატურა, 1921 წლის საბჭოთა რუსული ოკუპაციის შემდეგ აკრძალეს.

ასი წლის შემდეგ კი, 2022 წელს, გამომცემლობა „ზიარისა“ და „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის (SOVLAB)“ თანამშრომლობით ვალიკო ჯუღელის „მძიმე ჯვარი“ პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე სრულფასოვნად და წიგნადაც გამოიცა.

ჩანაწერების ტექსტს ერთვის ვალიკო ჯუღელის ახლახან აღმოჩენილი, 1924 წლის დღიურის ფრაგმენტებიც. ამ დღიურებში მხოლოდ ერთი – საქართველოში დაბრუნების და მიზნის მიღწევის ოცნება ჩანს.

„მძიმე ჯვარი“ კი, ძირითადად, 1917-დან 1920 წლების ჩანაწერებს მოიცავს. თბილისი, სოხუმი, ფოთი, კასპის სადგური, ჭალადიდის მატარებელი, გუდაუთა თუ სოფელი თაგილონი - საიდან არ წერს და რას არ გვიყვება ვალიკო ჯუღელი თავის ჩანაწერებში, რომელშიც მშვიდობას ომის დღეები ცვლის და, „სოვლაბის“ მკვლევრის და ამ წიგნის ერთ-ერთი რედაქტორის, დავით ხვადაგიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველდღიურობას აღწერს.

თუმცა, იმ დროის სურათების გაცოცხლების გარდა, ვალიკო ჯუღელის ჩანაწერებით პირველ რესპუბლიკაზე გავრცელებული არაერთი მითიც იმსხვრევა, მაგალითად, ის, რომ თითქოს საქართველოს მაშინდელი მთავრობის თხოვნით დატოვა ბრიტანეთის ჯარმა სამხრეთი კავკასია:

„ვალიკო ჯუღელი წერს, ბრიტანელები 1919 წელს გასვლას აპირებენ, ისევ მარტო შეიძლება დავრჩეთ მტრის წინააღმდეგ და მთავრობამ და ყველამ გადავწყვიტეთ და ვთხოვეთ, არ გავიდნენო“, – გვეუბნება დავით ხვადაგიანი.

ამ ჩანაწერებში, მკითხველი, პირველ რიგში, მეომარ ვალიკო ჯუღელს გაიცნობს, რომელიც მუდმივად ფრონტის წინა ხაზზეა...

17 მაისი, 1918 წელი, სოხუმის ლაშქრობის დღეებიდან

დილის პირველ საათზე ჩვენ, 20 მხედარი სოხუმში შევედით. გზად დაბრკოლება არ შეგვხვედრია. დამარცხებულ მოწინააღმდეგეს არცკი უცდია დარჩენილიყო და წინააღმდეგობა გაეწია... შეუძლებელია აღწერო, როგორი აღფრთოვანებით გვხვდებოდნენ გათავისუფლებული სოხუმელები... ყვავილებს გვესროდნენ... ზეიმობდა არა ბურჟუაზია, რომელიც საკმაოდ თავშეკავებულად გვხვდებოდა, არამედ ნამდვილი დემოკრატია, რომელიც ბოლშევიკების ტყვეობიდან გათავისუფლდა“...

14 ივნისი, 1918 წელი, სადახლოს სადგური

გუშინ ცხელი საომარი დღე გვქონდა! ბრძოლით ავიღეთ სოფელი დიდი ყოშა-ქილისა, სადაც ჩვენი ვალიკო (შარაშიძე) მოკლეს, მას ჩვენს შორის ტოლს ვერავინ დაუდებდა, ნეტა ვინ უნდა ჩაანაცვლოს ის? მის სიკვდილში, ნაწილობრივ, მეც მიმიძღვის ბრალი, რადგან ალყაშემორტყმული ულავრის გათავისუფლებისთვის შეტევა ჩემი იდეა იყო“...

25 ივლისი, 1918 წელი. დილა

„მივიღეთ პასუხი თერგის მთავრობისგან. თერგის რესპუბლიკა თანახმაა, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს ჩვენი ყველა ტყვე, ხოლო დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით, შემოგვთავაზა შეხვედრა ძველ ლარსში. მაშ ასე, დღეს უნდა შევხვდეთ ერთმანეთს... საბჭოთა რესპუბლიკა თანდათან გვნებდება“...

1 იანვარი, 1919 წელი, ტაბახმელა

ჩვენი ცხენოსანთა დივიზიონი ტაბახმელაში დგას. მოწინააღმდეგე არსად სჩანს. ცხადია, ის სავსებით დაშლილა და მოუხედავად გარბის!.. ტაბახმელა ქართულ-სომხური სოფელია. ყველა მცხოვრები ადგილზე დარჩა. მე სიამოვნებით ვხედავ, რომ აქ ქართველები და სომხები კეთილმეზობლურ განწყობილებაში არიან“...

2 იანვარი. 1919 წელი, ეკატერინენფელდი

კოშმარი! დღეს ჩემი მაუზერით ერთი სახალხო გვარდიელი მოვკალი! მან საცოდავი ათი წლის გოგო გააუპატიურა! ამ მხეცს დანაშაულის ცხელ კვალზე მივუსწარი და თავი ვერ შევიკავე“...

26 მაისი. 1920 წელი. მატარებელში

მივემგზავრები ფრონტზე. დღეს 12 საათზე უკანასკნელი შეხვედრაა აზერბაიჯანლებთან. შეთანხმება ან ომი!.. დღეს 26 მაისია, მაგრამ ჩემს გულს არ ედღეესასწაულება. ომის დროს დღესასწაული ვერ შედგება. თვით გამარჯვების მომტანი ომებიც კი საკუთარ თავში დიდ გლოვას ატარებს. თუ იქნება მშვიდობა, პატიოსანი მშვიდობა, დიდი დღესასწაულიც მექნება და ჯვრისგანაც გავთავისუფლდები. მძიმე ჯვრისგან!“

მოკლედ ვალიკო ჯუღელზე

„სოვლაბის“ მკვლევარი „მძიმე ჯვრის“ შესავალ წერილში შენიშნავს, რომ „თავზეხელაღებული რადიკალ-რევოლუციონერი ბოლშევიკი – ვალიკო ჯუღელი გადამწყვეტ მომენტში ისტორიის სწორ მხარეს დადგა და საქართველოს თავისუფლებისა და დემოკრატიის თავგამეტებულ დამცველად იქცა“.

დავით ხვადაგიანი წერს, რომ 1917 წლიდან, სამხედრო-ფრონტული ცხოვრების პარალელურად, ვალიკო ჯუღელი დემოკრატიული რესპუბლიკის ინსტიტუციურ მშენებლობაშიც ჩაება – 1917 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად აირჩიეს, შემდეგ – ამიერკავკასიის სეიმის დეპუტატად, საქართველოს პარლამენტის დეპუტატად, ხოლო 1919 წლის თებერვალში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად.

თუმცა მას, როგორც სამხედროს, პოლიტიკური ტრიბუნისთვის არ ეცალა და, როგორც დავითიც წერს, „სამოქალაქო და პარტიულ ცხოვრებაზე ფრონტი აღარც გაუცვლია“.

სახალხო გვარდია მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უსაფრთხოებისა და შიდა წესრიგის გარანტი იყო.

ვალიკო ჯუღელი ფრონტზეა 1921 წლის 11 თებერვლიდანაც, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე საბჭოთა რუსეთის თავდასხმის დროსაც და თბილისის დაცვისას, კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლებშიც გვარდიელებს პირადი მაგალითით ამხნევებდა. უკანდახევის შემდეგ ის დაჭრილა კიდეც სოფელ ოსიაურთან გამართულ ბრძოლაში, 17 მარტს, საქართველოს დევნილ მთავრობას, ბათუმიდან ემიგრაციაში გაჰყვა.

თუმცა ბრძოლა არც საქართველოს საზღვრებს გარეთ შეუწყვეტია და, როგორც დავით ხვადაგიანი მოგვითხრობს, 1921-1922 წლებში, ჯერ კიდევ სტამბოლში ყოფნისას, ვალიკო ჯუღელი აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს ემიგრაციის პოლიტიკური ცენტრის – პარიზსა და სამშობლოში წინააღმდეგობის იატაკქვეშა ფრონტს შორის მაკავშირებელი ორგანოს – „სტამბოლის პოლიტიკური კომისიის“ მუშაობაში და საბჭოთა რუსული საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ საერთო ფრონტის შექმნის მიზნით პარტიათა შორის მოლაპარაკების ხანგრძლივ პროცესშიც მონაწილეობდა.

სტამბოლში, სხვა სამხედრო მეთაურებთან ერთად დაამუშავა 1924 წლის ცნობილი ანტისაბჭოთა აჯანყების გეგმაც, რასაც ბოლოს შეეწირა კიდეც.

„მადლობა ღმერთს! ყინული გატყდა და წყალი დაიძრა!.. მე ვბრუნდები...“, – წერდა ის თებერვლის დღიურში. საქართველოში საიდუმლოდ დაბრუნებამდე ცოტა ხნით ადრე.

ამონარიდები 1924 წლის დღიურიდან

1924 წლის თებერვალში ვალიკო ჯუღელი ბენია ჩხიკვიშვილთან, ვიქტორ ცენტერაძესთან, გრიგოლ ცინცაბაძესა და საქართველოდან არალეგალურად ჩასულ ვასო ნოდიასთან ერთად საიდუმლოდ ბრუნდება საქართველოში ერთიანი, ანტისაბჭოთა აჯანყების ორგანიზებაში წინააღმდეგობის ცენტრის – საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის დასახმარებლად.

წამოსვლის წინ და საქართველოში ჩამოსვლამდე დღეების ქრონიკა კი მის 1924 დღის დღიურებშია აღწერილი. აი, რამდენიმე ამონარიდიც.

9 თებერვალი, 1924 წელი

მინდა, რომ სადღიურო წიგნაკი ჩვენზე ბედნიერი იყოს: რომ იგი იყოს უკანასკნელი უცხოეთისთვის... დღეს დილით ჩამოვედი მარსელში... თითქმის ამ სამი წლის წინათ სწორედ აქ ვიყავი: მარსელით შამოვედი საფრანგეთში და მარსელითვე გავდივარ. მაშინ მე და ბენია შემოვედით ერთად და ეხლაც ერთად გავდივართ... მადლობა ღმერთს! ყინული გატყდა და წყალი დაიძრა! მე ვბრუნდები“...

10 თებერვალი, 1924 წელი

„საკვირველი, სასაცილო და თან სამწუხარო მდგომარეობაა: ჩვენი გამგზავრების ამბავი იციან მარტო ევგენიმ, ნორამ, დიდმა ნოემ და კოწია კანდელაკმა. სხვებს ჯერ ვუმალავთ!“

15 თებერვალი, 1924 წელი

„გუშინ საღამოს ჩვენმა გემმა „პატრისმა“ დატოვა მარსელი... მიმაქვს საფრანგეთის დარდი და ოცნებები, მაგრამ გული არ მწყდება, რომ მას მოვშორდი... რადგან მე მივდივარ ჩემი მიზნისკენ. რადგანაც ხორციელდება ჩემი ნატვრა! მეორე სამშობლოს ყოველთვის პირველი და უკანასკნელი სამშობლო ჯობია“...

27 თებერვალი, 1924 წელი, სტამბოლი.

სიზმრები, სიზმრები საქართველოზე! დღე და ღამე სულ საქართველო მიდგას თვალწინ და ჩემი გონება და ოცნებაც მაზედ არის მიჯაჭვული“.

29 თებერვალი. 1924 წელი.

დღეს „გულ-ჯემილათი“ მე და ბენია მივდივართ ხოფაში...

* * *

აჯანყების ჩახშობისა და მარცხის შემდეგ საქართველოს სსრ-ის საგანგებო კომისიამ (ჩეკა) ვალიკო ჯუღელი თბილისში დააპატიმრა 1924 წლის 6 აგვისტოს პასტერის ქუჩაზე.

„ის საიდუმლო კრებებიდან ბრუნდებოდა, თავის საიდუმლო კურიერთან, ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრ ქეთო სუციშვილთან ერთად. „ზაკჩეკაში“ დაკითხვისას საბჭოთა სპეცსამსახურების შეფობამ, სოლომონ მოგილევსკიმ, ეპიფანე კვანტალიანმა და ლავრენტი ბერიამ ვალიკოს სტამბოლში მის მიერვე დამუშავებული აჯანყების გეგმა დაუდეს წინ, რითაც მისი ფსიქოლოგიური გატეხვა და იმაში დარწმუნება სცადეს, რომ აჯანყება გაცემული იყო. საკანში თვითმკვლელობის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ჯუღელმა მოითხოვა, რომ მიეცათ საუბალება, დაკავშირებოდა თანამებრძოლებს თხოვნით – გაეუქმებინათ აჯანყება. რა თქმა უნდა, საოკუპაციო რეჟიმი ამას არ დაუშვებდა“... – წერს დავით ხვადაგიანი.

გაზეთი „კომუნისტი“ 1924 წლის 8 აგვისტოს წერდა, რომ 6 აგვისტოს, თბილისში, საღამოს 10 საათზე და 35 წუთზე დააპატიმრეს საზღვარგარეთიდან არალეგალურად ჩამოსული, სახალხო გვარდიის შტაბის ყოფილი თავმჯდომარე და მენშევიკური პარტიის წევრი, „მთელ საქართველოში ცნობილი ბანდიტი“ ვალიკო ჯუღელი.

დაპატიმრების დღეს მას ჯიბეში აღმოაჩნდა ორი რევოლვერი პატრონებით.

ვალიკო ჯუღელი, სხვა პოლიტპატიმრებსა და მოქალაქეებთან ერთად, „ჩეკამ“, სავარაუდოდ, აჯანყების უკვე საყოველთაო ფაზის პირველივე ღამით – 30 აგვისტოს დახვრიტა თბილისში. მათი საფლავების ადგილი უცნობია.

ეკა ქვანიშვილი,
„რადიო თავისუფლების“ თბილისის ბიუროს ჟურნალისტი.

„ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა“

ფრიდრიხ ნიცშე (1833-1900) ის ადამიანია, ის გერმანელი ფილოსოფოსი, ვინც რევოლუცია მოახდინა დასავლეთის კულტურაში. როგორც ქართულ ენციკლოპედიაშია აღნიშნული, იგი ირაციონალისტი და ვოლუნტარისტია. საზოგადოება ნიცშეს იცნობს აგრეთვე როგორც პოეტს, 1869-79 წლებში ბაზელის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის პროფესორია. 1889 წელს სულიერად დაავადდა და მოღვაწეობა შეწყვიტა. ნიცშეს მოღვაწეობის ყველა ეტაპზე იგრძნობა „ძალაუფლების ნების“ კონცეფციის განვითარების მიზანი. იგი იმთავითვე ერთმანეთს უპირისპირებდა ყოფიერებისა და კულტურის ორ საწყისს – „დიონისურს“ („სიცოცხლისეულს“) და „აპოლონურს“ (ჭვრეტით, ცალმხრივ ინტელექტუალურს). ამ დაპირისპირების გზით ნიცშემ ააგო ირაციონალისტური და რეალისტური გნოსეოლოგია (შემეცნების თეორია).

ნიცშეს აზრით, სუყოველი არსებულის პირველსაფუძველი არის ნება, ხოლო „ძალაუფლების ნება“ უწინარესად საზოგადოებრივ მოვლენათა კრიტერიუმია (საზომია). ზნეობა თავისი მოარული „სიკეთისა“ და „ბოროტების“ კატეგორიებით არის „მონების“ მიმართ „არისტოკრატებისა“ და „ბატონების“ უპირატესობის გრძნობის რეალიზაცია (განსაკუთრებით ცხოვრებაში გატარება). ნიცშეს „ახალი ზნეობის“ სუბიექტი, „ზეადამიანი“, რომელიც გარესამყაროსა და სხვებთან მიმართებაში თავისუფალია სოციალური იძულებისგან და მოქმედებს მტაცებელი მხეცის უმწიკვლო სინდისით. „ზეადამიანი“ არის ნახევრად თუ სრულად ღვთაებრივი „ბელადი“, „ფიურერი“, რომლისთვისაც თანამედროვე კაცობრიობა ძალის გამოცდის ობიექტია. **ქვემოთ გთავაზობთ ნიცშეს ყოვლის უფრო მკაფიო, ფრიად თავისებურ გამონათქვამებს, რაც უთუოდ დაეხმარება მკითხველს ამ ლეგენდარული მოაზროვნის შემოქმედებითი მემკვიდრეობის გაცნობაში.**

ადამიანი

მხოლოდ ადამიანი ხდის სამყაროს აზრიანს – სუყოველი შემოქმედის მსგავსად, იმასაც ჩვეულებრივ უყვარს თავისი ქმნილება!

* * *

მხოლოდ ადამიანი უწევს წინააღმდეგობას გრავიტაციის მიმართულებას: იგი მუდმივად აღმა ვარდნას ცდილობს.

* * *

ადამიანის ყოვლის უფრორე ძლიერი თვისება თვითდაძლევაა, რაიც იმავდროულად იმისივე საჭიროებაა – ადამიანი ნიადაგ უფსკრულის პირას დგას.

* * *

ადამიანი მიწყივ თავხელმარტოა: იგი ადამიანთ ეძებს, ისინი სწყურია, პოვნით კი ოდენ თავის თავს პოულობს – და თავისი თავი აღარ სწყურია.

* * *

ასკეტიზმის მიზანია: აუცილებლივ დაელოდოს თავის წყურვილს, დააცადოს სრულად მომწიფება. სხვა შემთხვევაში არცროდის თავისი წყარო არ გაამხილოს, რაც სხვა რისამე წყარო შეიძლება რომ იყვეს.

* * *

ძალიან თავხელმარტო ადამიანისთვის ჩქამიც შეიძლება ნუგეშად იქცეს.

* * *

სიმარტოვე ადამიანს აგულცივებს თავისი თავის მიმართ და ადამიანთ ანტრებს: ორსავე შემთხვევაში ის ხასიათს აუმჯობესებს.

* * *

უკეთუ ადამიანს თავის თავში კარგი რამ ერცხვინება, კეთილშობილური გრძნობაა, მხოლოდ იმით ფლობს ადამიანი თავის თავს.

* * *

როს ადამიანი მიდრეკილია, რომ აზრანძულმა და გაღლეტილმა, მოღორებულმა იცხოვროს, როგორც კი სიცრუე თავის მორევში დახრჩობას დაუპირებს, იმ ადამიანს ეგოიზმი იპყრობს.

* * *

სიძულვილი ბუნებრივია იმ ადამიანთა მიმართ, ვისაც მიტევება არ ძალუძს.

* * *

ძნელია ადამიანისთვის იმ ადამიანთა შეგუება, ვინც ზიზღს იწვევს.

* * *

ადამიანს, ვისაც არცროდის არ უფიქრია ფულზე, ღირსებაზე, გავლენიან კავშირებზე, – განა ამისთანას შეუძლია ადამიანების გაგება?

* * *

აუტანელი და საშინელი ტანჯვა ადამიანში ტირანს აღვიძებს.

* * *

უკეთუ ადამიანს უნდა სხვათა გამძღოლად ყოფნა, მაშინ ის კარგა დიდი ხნის სიგრძეზე იმათ შორის ყოვლის უფრო საშიშ მტრად უნდა ითვლებოდეს.

* * *

ძლიერი ხასიათის თვისებაა რაღაცის სურვილი და იმის მისაღწევად ცდილობა, უკეთუ უსირცხვილოდ ცდილობს რისამე მიღწევას, მაშასადამე, ის ძლიერი ადამიანი ხარ, რომელიც ცხორცშესხმული ბედისწერაა.

* * *

ოდეს ამაღლებული ადამიანი ამაღლებულს რასმე ხედავს, ის ხდება თავისუფალი, გულდაჯერებული, მშვიდი, ბედსვიანი, იმას აძრწუნებს სრულქმნილი სილამაზე, თავბრუს ახვევს. ასეა, მშვენიერების წინაშე ადამიანი თავის თავს უარყოფს.

* * *

გადიდადამიანოვის წყურვილით შეპყრობილნი, ჩვეულებრივ, ბოროტი ადამიანები არიან: ეს თავის გატანის ერთადერთი საშუალებაა.

* * *

სასტიკი ადამიანი ბევრია, ოღონდ ისინი მეტისმეტად ლაჩრები არიან ამ სისატიკისთვის.

* * *

სიხარულის უქონლობა გარყვნილების მიზეზია.

* * *

საკუთარი თავის ფიზიკურად დაზიანების სურვილი და ავხორცობა ყოველთვის ეგუებიან ერთმანეთს, რამეთუ ერთნი და იგივენი არიან. ისინი ადამიანს თრიაქის შემდგომ გონების სიმძიმესა და უძრაობას ხსნიან.

„ძალიან თავხელმარტო ადამიანისთვის ჩქამიც შეიძლება რომ ნუგეშად იქცეს“,

– ასე იტყოდა ფრიდრიხ ნიცშე

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

* * *

თუ ადამიანი თავისი თავის ტანჯვის ნებას ფლობს, მაშინ იმისკენ ნაბიჯის გადადგმაც ძალუძს, რომ როგორც უფლებას, ისე დაეუფლოს სისასტიკეს.

* * *

ვინც ძალიან იტანჯება, ეშმაკის შურიანობის საგანი ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ ეშმაკის გაძევების უნარი შესწევს.

* * *

იდეალის შექმნა იგივეა, რომ შენი ეშმაკი შენს ღმერთად გადააქციო. ამისთვის კი უწინარესად საჭიროა საკუთარი ეშმაკის გაჩენა.

* * *

ადამიანები ორ სახეობად იყოფიან: გამცემებლად და სამაგიეროს გადამხდელებად.

* * *

ჰეროიზმი იმ კაცის დევიზია, ვინც მიზანს მიესწრაფვის. თუმცაღა გმირული განწყობილება თვითდაღუპვის კეთილი ნებაა.

* * *

არ შეიძლება საზიზღარი კაცისა და საშიში კაცის ერთმანეთში არევა.

* * *

სიდიადეს ვინც ესწრაფვის, იმას ყველა საფუძველი აქვს, რომ აგვირგვინებდეს თავის გზას და კმაყოფილდებოდეს რაოდენობით. ხარისხის ადამიანები თავიანთი მხრივ ესწრაფვიან მცირედს.

* * *

გმირად ყოფნა არსებობის ფორმა იმ შემთხვევაშია, როცა სხვა არჩევანი არ არის.

* * *

გმირულ იდეალს წინააღმდეგობა აქვს – ჰარმონიული ყოვლისგანვითარებულობის იდეალი, რაიც საკმაოდ მშვენიერი და მოსაწონი მოვლენაა. თუმცაღა ესეგვარი იდეალი ფარსაგია მხოლოდ კეთილ ადამიანთათვის.

* * *

მაშინაც, როს ხალხი უკუდგება, ის მაინც იდეალს რასმე არის ადევნებული და სწამს რაღაც „წინ-.

* * *

ჯოგში არცრა არის მოსაწონი, თუნდაც კვალდაკვალ მოგდევდეს.

* * *

უკეთუ მავანი სხვას ისე უყურებს, როგორც ჯოგს და ცდილობს იმისგან გაქცევას, ესეგვარ მავანს ჯოგი დაეწევა და რჩოლას დაუწყებს.

* * *

ადამიანს თავისი დრო თავს ესხმის იმ შემთხვევაში, უკეთუ ჯერ კიდევ არ გაუსწრია იმისთვის ანდა უკან ჩამორჩენია იმას.

* * *

ისტორიის სულ თერთმეტი-თორმეტი დიდი და ცნობილი ადამიანი რაღაც დიდ საქმეს წარმოადგენდა.

* * *

„რელიგიური ადამიანი“, „სულელი“, „გენიოსი“ „დამნაშავე“, „ტირანი – სუყოველი სიტყვა ესე უგვანი სახელწოდებებია, რაღაც სახელდაუდებელს რომ ენაცვლებიან.

* * *

რაც რომ ძლიერი და თავისუფალია ადამიანი, მით უფრო მომთხოვნი უხდება სიყვარული, ერთი სული აქვს, რომ ზეკაცი გახდეს, რამეთუ არცრა დანარჩენი არ უკმაყოფილებს სიყვარულს.

* * *

მხოლოდ ოდენ უდრეკი ბუნების ადამიანს აქვს უფლება, რომ თავის თავზე დუმდეს.

* * *

ჩვენ ყოველთვის როგორც მიმბაძველნი, ისე ვიწყებთ რისამე კეთებას და ვამთავრებთ იმით, რომ ჩვენსა თავს ვბაძავთ – ეს არის ბოლო ბავშვობა.

* * *

უკეთუ ადამიანს სურს, რომ ის იყვეს, რაც არის, აუცილებლად უნდა დაიცვას თავისი ღირსება და თავისი ჩრდილი.

* * *

„ბევრად უმჯობესია, რომ ლოგინში იწვე და თავი ავადმყოფად იგრძნო, ვიდრე იძულებული აკეთებდე რასმე“ – ესეგვარი იდუმალი წესით ისინი ხელმძღვანელობენ, ვინც თვითგვემის კანონებით ცხოვრობს.

* * *

საკუთარი თავის მიმართ მოულოდნელად აღძრული ზიზღი თანაბრად შეიძლება რომ იყვეს როგორც დახვეწილი, ისე ცუდი გემოვნების შედეგი.

* * *

ადამიანის საუკეთესო მასწავლებლები იმისავე ნაკლოვანებებია, ოღონდ ადამიანი საუკეთესო მასწავლებლების უმადურია მუდამ.

* * *

სიზარმაცე ნაირგვარი ჯანსაღად მონელების უცილობელი პირობაა, თვით განცდის მონელებისთვისაც კი.

* * *

მარდი, გერგილიანი ადამიანები, როგორც რომ წესი, თავიანთი ბუნებით ჩვეულებრივი და არართული, მარტივი ადამიანები არიან.

* * *

ვინც არ გვანაყოფიერებს, ის ჩვენთვის აშკარად გულგრილი ხდება, მაგრამ ის, ვისაც ჩვენ ვანაყოფიერებთ, თავის მხრივ ჩვენთვის საყვარელი არ ხდება.

* * *

შეწყვილების ჟამს ოდენ ფეხმძიმობაზე შეიძლება ლაპარაკი.

* * *

სხვა ადამიანებზე ცოდნის მატება, სულაც არ ნიშანვს საკუთარი თავიდან ამოსვლას, ეს უტყუარი ხერხია, თუ გვინდა, რომ უფრო მეტად შევიდეთ საკუთარ თავში.

* * *

ადამიანური პატივმოყვარეობა თავაზიანობის ნიღაბია სიამაყისთვის. ასე ადამიანი თავის საუკეთესო აზრებს გამოთქვამს უცხო ან ნაკლებადცნობილ ადამიანთან ლაპარაკში, ეუბნება, თუ რა კავშირები აქვს ცნობილ ადამიანებთან, სიტყვას ჩამოაგდებს თავისი ცხოვრების გამორჩეულ შემთხვევებსა და თავის მოგზაურობებზე, ეს ყოველივე კი სიამაყის არქონის ანდა, ყოველ შემთხვევაში, ამ სიამაყის დაფარვის ნიშანია.

* * *

ადამიანის ხასიათი უმეტესად ყალიბდება თავგადასავლის მოთხოვნილებით, ვიდრე იმით, რასაც ჩვენ განვიცდით.

* * *

არის თუ არა ადამიანში გველის ნესტარი, ეს იმ დროს ვლინდება, როს ფეხს ადგამენ.

(გაგრძელება იქნება)

ᲒᲐᲭᲘᲐᲜᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐᲛ ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲗᲐᲜᲮᲛᲝᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲩᲘᲜᲐ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲡᲐᲭᲔᲠᲐᲓ ᲣᲞᲘᲠᲝᲑᲝᲓ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲗ: ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲝᲜ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲨᲘ ᲗᲣ ᲛᲘᲐᲓᲒᲘᲝᲜ ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲒᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲡ, ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ. ᲠᲐᲡ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲔᲜ ᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲛᲘᲖᲐᲜᲗᲐᲖᲔ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ? — ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ BBC-Მ ᲒᲐᲡᲪᲐ.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲙᲐᲛᲐᲗᲝᲑᲔᲜ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲖᲔ?

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ...

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲠᲣᲡᲔᲗᲛᲐ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ ᲩᲐᲠᲗᲝ ᲓᲐ ᲓᲝᲜᲑᲐᲡᲨᲘ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲪ ᲨᲔᲫᲚᲝ. ᲙᲠᲔᲛᲚᲘ ᲘᲛᲘᲡᲐᲪ ᲘᲛᲣᲥᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲔᲕᲔᲠᲝᲓᲝᲜᲔᲪᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲡᲘᲩᲐᲜᲡᲙᲘᲡ ᲛᲘᲓᲐᲛᲝᲔᲑᲨᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲔᲑᲐᲡ ᲐᲚᲧᲐᲨᲘ ᲛᲝᲐᲥᲪᲔᲕᲓᲐ. ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲠᲣᲡᲣᲚᲛᲐ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲓᲝᲜᲑᲐᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲥᲕᲗ: ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲝᲜ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲨᲘ ᲗᲣ ᲛᲘᲐᲓᲒᲘᲝᲜ ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲒᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲡ, ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ. ᲠᲐᲡ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲔᲜ ᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲛᲘᲖᲐᲜᲗᲐᲖᲔ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ? — ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ BBC-Მ ᲒᲐᲡᲪᲐ.

ევროპასა და შეერთებულ შტატებში უკვე ისმის მოწოდებები დაუყოვნებელი დაზავების შესახებ, თუნდაც ეს უკრაინის მხრიდან გარკვეულ ტერიტორიულ დათმობებს ნიშნავდეს. საჯარო სფეროში ამ ბანაკს უპირისპირდებიან ისინი, ვისაც უკრაინის გამარჯვება და მისი ტერიტორიების გათავისუფლება სურს. კიევში მოსკოვთან რაც შეიძლება მალე დაზავებისკენ მოწოდებებს მკაცრად პასუხობენ, ზოგჯერ უცენზუროდაც კი. უკრაინის ხელისუფლება აცხადებს, რომ ომის რაც შეიძლება მალე დასასრულებლად, აშშ-მა და ევროპამ მოსკოვს ახალი სანქციები უნდა დაუწესონ და დააჩქარონ იარაღის, უპირველეს ყოვლისა კი, სარაკეტო გამშვები მოწყობილობების მიწოდება.

* * *

თუ შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთისა და აღმოსავლეთ ევროპის რიგი სხვა ქვეყნის ხელისუფლება მხარს უჭერს უკრაინას მისი ტერიტორიის გათავისუფლებისკენ მიმართულ მოქმედებებში, დასავლეთ ევროპაში ომის დასრულებაზე საუბრობენ. დაუყოვნებელი დაზავების აუცილებლობის შესახებ უკვე ალაპარაკდნენ საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი, გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი და იტალიის პრემიერ-მინისტრი მარიო დრაგი. ეს ლიდერები დარჩნენ იმავე პოზიციაზე, რომელიც დასავლეთს ომის დასაწყისში ჰქონდა — ისინი გმობენ რუსულ აგრესიას და რუსეთის დასჯა ეკონომიკური სანქციებით სურთ.

კიევისა და ჩერნიჰივის რეგიონებიდან რუსული ჯარების გაყვანის შემდეგ, დიდმა ბრიტანეთმა და შეერთებულმა შტატებმა უკრაინის შესაძლო გამარჯვებაზე დაიწყეს საუბარი. პარიზში, ბერლინსა და რომში კი დუმდნენ. ისინი მუდმივად იმეორებენ, რომ ეს ომი კრემლმა არ უნდა მოიგოს, თუმცა „პუტინის დამარცხება“ შეიძლება ფართოდ იყოს განმარტებული. მაგალითად, რუსეთის დამარცხებად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ უკრაინამ დამოუკიდებლობა შეინარჩუნა და კიევი არ დაეცა, — ამბობს ჩარლზ კუპჩანი, რომელიც პრეზიდენტ ობამას თანაშემწედ მუშაობდა და აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ევროპის განყოფილების ხელმძღვანელი იყო.

იგივე სულისკვეთება დაადასტურა New York Times -ის პირადი მოსაზრების სვეტში. სარედაქციო სტატიის ავტორთა აზრით, შეერთებულმა შტატებმა უნდა დაუჭიროს მხარი დაუყოვნებლივ დაზავების საკითხსა და კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას, უკრაინის მთელი ტერიტორიის გათავისუფლება კი არარეალური მიზანია. ამავე პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ კიევისადმი დასავლეთის მხარდაჭერას შეიძლება საზღრები ჰქონდეს და რუსეთი უკვე საკმარისად არის დასუსტებული საიმისოდ, რომ მომავალში საშიში აღარ იყოს. ჰენრი კისინჯერი, რომელიც ამერიკის საგარეო პოლიტიკაში „რეალიზმის“ სკოლის პატრიარქად ითვლება, ომის დაუყოვნებლივ დასრულების მომხრეა. მისი აზრით, მხარეები 24 თებერვლამდე არსებულ საზღვრებს სასწრაფო წესით უნდა დაუბრუნდნენ.

უკრაინის ხელისუფლება ტერიტორიული დათმობების შესახებ წინადადებებზე კატეგორიულ უარს აცხადებს. თუ უახლესი სოციალური გამოკითხვის მიხედვითაც ვიმსჯელებთ, ოფიციალურ კიევს ამაში უკრაინელების 82%-ი მხარს უჭერს. უკრაინის პრეზიდენტის აპარატის მრჩევლის, ოლექსი არესტოვიჩის აზრით, ქვეყნის აღმოსავლეთში მიღწეულმა წარმატებებმა კიევზე რუსეთის ახალი თავდასხმის რეალური საფრთხე შექმნა. უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ კი განაცხადა, რომ დონბასში არსებული ვითარება უკრაინელი სამხედროებისთვის „უკიდურესად ცუდია“. ამ მიმართულებით რუსეთის გარკვეული წარმატებები ვაშინგტონსა და ლონდონშიც აღიარეს. პირველ ეტაპზე, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს, რუსეთის ჯარისთვის ომის მათთვის ხელსაყრელი კურსი თავს მოეხვიათ. ოფიციალურმა კიევმა მასობრივ შეტაკებებს თავი აარიდა, კონტრშეტევებისა და ჩასაფრების პოლიტიკით ხელმძღვანელობდა, თუმცა დონბასისთვის ბრძოლაში მთავარ როლს მაინც არტილერია ასრულებს და ჯერჯერობით, ამ მიმართულებით უპირატესობა რუსეთს აქვს.

თუმცა ძალთა ბალანსი შეიძლება შეიცვალოს, თუ უკრაინა დასავლეთიდან თანამედროვე აღჭურვილობის მიღებას გააგრძელებს, — ამბობენ ექსპერტები. კიევი უკვე იღებს ამერიკულ M777 ტიპის ჰაუბიცებს და პენტაგონის თქმით, დაპირებული 108 ერთეულიდან 85 უკვე ომში გამოიყენება. 200 უკრაინელი არტილერისტი კი აღნიშნული ტექნიკის მართვის მიმართულებით გერმანიის სამხედროების მიერ გაიწვრთნა.

ᲡᲐᲠᲐᲙᲔᲢᲝ ᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲮᲔᲠᲡᲝᲜᲘ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲓᲔᲡ...

ᲙᲘᲔᲕᲘ შეერთებული შტატებისგან განსაკუთრებით ელის ამერიკული მრავალჯერადი სარაკეტო სისტემების, MLRS-ისა და HIMARS-ის მიწოდებას. ეს აღჭურვილობა უკრაინას მისცემს საშუალებას, მოწინააღმდეგეს უფრო შორ მანძილზე ბევრად ზუსტად დაარტყას. აღნიშნული ტექნიკის გადაუდებელ აუცილებლობაზე ვოლოდიმირ ზელენსკი ჯერ კიდევ აპრილში საუბრობდა. მაისის დასაწყისში უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ვალერი ზალუჟნიმ ასეთი თხოვნით აშშ-ის გაერთიანებული შტაბის უფროსს, გენერალ მარკ მილის მიმართა.

თუმცა ვაშინგტონი ამ თხოვნას დიდხანს არ პასუხობდა. ბაიდენი შიშობდა, რომ ამ სისტემების კიევისთვის გადაცემა შეიძლებოდა კრემლში ესკალაციად აღექვათ, — წერდა გამოცემა Politico. ეს სიფრთხილე იმით იყო გამოწვეული, რომ MLRS-ით რაკეტების გაშვება 300 კმ-მდე რადიუსშია შესაძლებელი. ეს კი უკრაინის შეიარაღებულ ძალებს საშუალებას მისცემდა, რუსეთში არსებულ სამიზნეებზე დაერტყა, ამბობდნენ ამერიკული ჟურნალისტები.

CNN-ის წყაროს ინფორმაციით, მაისის ბოლოს თეთრი სახლის ადმინისტრაცია ემზადებოდა, რომ ერთი კვირის განმავლობაში უკრაინისთვის მრავალჯერადი სარაკეტო სისტემები გადაეცა. კიევში თვლიან, რომ უკრაინისთვის არტილერიის, მათ შორის სარაკეტო და მძიმე ტექნიკის მიწოდება საუკეთესო საშუალებაა, რათა ომი რაც შეიძლება მალე დასრულდეს. შესაბამისად, უკრაინელი პოლიტიკოსები თვლიან, რომ ოფიციალური კიევისთვის ქვეყნის ტერიტორიების დათმობის სანაცვლოდ, დასავლელი მოკავშირეები სწორედ სამხედრო აღჭურვილობით დახმარებასა და მოსკოვის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესებაზე უნდა ორიენტირდნენ.

MLRS ის დახმარებით უკრაინის არმია ხერსონის გათავისუფლებას შეძლებს, — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ. კონკრეტული ქალაქების დასახელების გარეშე, ანალოგიური შეფასება გამოთქვა ამერიკელმა სამხედრო ექსპერტმა რობ ლიმ. ის თვლის, რომ აღნიშნულ სისტემებს შეუძლიათ დაეხმაროს უკრაინას, რომ ამ უკანასკნელმა ამ ზაფხულს რუსეთისგან ოკუპირებული ტერიტორიები დაიბრუნოს.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენი ასეთი სისტემა გადაეცემა უკრაინას უახლოეს მომავალში, — წერს Wall Street Journal-ი, რომელმაც ასევე შეიტყო კიევისთვის MLRS-ის მიწოდების გეგმის შესახებ. კიევისთვის ახალი შეიარაღების მიწოდებას ლონდონი და ვარშავაც ეთანხმებიან. პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ გერმანია დაგვიანებულ ქმედებებშიც კი დაადანაშაულა. უკრაინისთვის მძიმე ტექნიკის მიწოდებას ბუნდესტაგმა მხარი ჯერ კიდევ აპრილის ბოლოს დაუჭირა. მაშინ ბერლინი კიევს 50 თვითმავალი საზენიტო მოწყობილობა „გეპარდის“ გადაცემას დაჰპირდა, მაგრამ ერთი თვის შემდეგ დააკონკრეტა, რომ მათ ივლისში გაგზავნიდა. უმაღლესი რადას სახალხო დეპუტატმა ანასტასია რადინამ ივლისში „გეპარდების“ გადაცემის შესახებ საუბარს დამამცირებელი უწოდა. **„ეს აჩენს კითხვას: ვის უჭერს მხარს გერმანია რეალურად?“,** — განაცხადა მან დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმზე.

„ᲒᲠᲫᲔᲚᲕᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ“

ᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲫᲘᲐᲜᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲑᲐᲗᲝᲑᲐᲖᲔ ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ �რუსეთის ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐᲪ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲡ. ᲠᲝᲡᲒᲕᲐᲠᲓᲘᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲛᲐ ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲖᲝᲚᲝᲢᲝᲕᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲨᲔᲕᲠᲓᲝᲛᲔᲑᲘᲪ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲘᲑᲘᲠᲫᲕᲘᲐᲜ, ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘᲕᲔ ᲐᲦᲘᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲞᲔᲪᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ „ᲐᲠ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲘᲡᲔ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲕᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲓᲘᲗᲝ“. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲔᲩᲥᲐᲠᲔᲑᲐᲗ. „ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲓᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲕᲔᲙᲘᲓᲔᲑᲘᲗ. ᲜᲐᲪᲘᲖᲛᲘ ᲐᲜ 100%-ᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲛᲝᲘᲤᲮᲕᲠᲐᲡ, ᲐᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲗᲐᲕᲡ ᲘᲡᲔᲕ ᲬᲐᲛᲝᲬᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲮᲘᲜᲯᲘ ᲤᲝᲠᲛᲐ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ“, — განაცხადა რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელმა ნიკოლაი პატრუშევმა.

ბრიტანელი სამხედრო ისტორიკოსი სერ ლოურენს ფრიდმანი ამბობს, რომ პუტინი უკრაინაში ახალი ტერიტორიების დაპყრობას კვლავ ცდილობს და ითხოვს ისეთ დათმობებს, რომელთაც კიევისგან ვერ მიიღებს. **„ახლა გონივრულია იმის მოლოდინი, რომ ეს არ არის მოკლევადიანი საგანგებო მდგომარეობა. ეს უკრაინის მხარდამჭერი ქვეყნებისთვის გრძელვადიანი ვალდებულება გახლავთ. ასევე უნდა ვიცოდეთ, რომ პრობლემის მარტივი დიპლომატიური გადაწყვეტა არ არსებობს და უკრაინა გააგრძელებს ბრძოლას იმდენ ხანს, რამდენიც მას თავისი ტერიტორიების დასაბრუნებლად დასჭირდება“,** — წერს ფრიდმანი.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲫᲐᲚᲔᲑᲛᲐ ᲙᲘᲔᲕᲖᲔ ᲡᲐᲠᲐᲙᲔᲢᲝ ᲘᲔᲠᲘᲨᲘ ᲛᲘᲘᲢᲐᲜᲔᲡ

ᲙᲘᲔᲕᲘᲡ მერის, ვიტალი კლიჩკოს განცხადებით, სარაკეტო დარტყმები დარნიცკის და დნეპროვსკის რაიონებში განხორციელდა. დაიბომბა საქალაქო ინფრასტრუქტურა. როგორც კლიჩკო სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ წერს, სარაკეტო იერიშის შედეგად არავინ დაღუპულა, ერთი დაშავებული ჰოსპიტალიზებულია. შემთხვევის ადგილზე მუშაობენ საგანგებო სამსახურები.

ᲒᲐᲜᲐᲚᲛᲕᲐᲡ 5-10 ᲬᲔᲚᲘ ᲓᲐᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ შინაგან საქმეთა მინისტრის, დენის მონასტირსკის განცხადებით, ქვეყნის მთელი ტერიტორიის სრულ განაღმვას 5-დან 10 წლამდე პერიოდი დასჭირდება.

დენის მონასტირსკის თქმით, რუსული არმიის სრულმასშტაბიანი შეჭრის შედეგად დანაღმულია დაახლოებით 300 000 კვადრატული კილომეტრი, ანუ ქვეყნის ტერიტორიის ნახევარი. მისი ინფორმაციით, ამ მონაცემებში შედის ის ჭურვებიც, რომლებიც რუსებმა ჩამოაგდეს, მაგრამ არ აფეთქდა და გაუვნებელყოფა სჭირდება.

მონასტირსკიმ განაცხადა, რომ ომის დაწყებიდან უკრაინის საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო სამსახურის თანამშრომლებმა დაახლოებით 130 000 ფეთქებადი მოწყობილობა, მათ შორის 2 000-მდე ბომბი გააუვნებელყვეს და 30 000 კვადრატული კილომეტრის ოდენობის ფართობი გაწმინდეს.



დადუნ თურქაძე:

ჩონჩხები ცოვებენ სავანეებს

სიზმარ-რეალობა

1.
ღამის მარმაშებს შესევია
ხროვა ვირთხების
ღმერთო, რა მომდის?
სადღაც ველზე დავძრწი ეული,
იქნებ ჩამოდგა ჟამი განსჯის
და განკითხვების
მე კი სიბნელეს თავს ვერ ვაღწევ
გზააბნეული!

2.
ისედაც დახრულ-დაღარული
ცეცხლის კვალებით
ახლა ვით შევძლებ ავიცდინო
რისხვა კბილების,
როცა ჩემ სხეულს შეჩვეულნი
ბასრი ბრჭყალებით
მაცოცდებიან მხრებზე სისხლით
დაგეშილები!

3.
ვეღარც ძირძველი დედაბოძი
ვეღარ ძლევს ბზარებს
უფრო და უფრო გულსაკლავად
ცახცახებს ჭერი,
სხვა რა ვიღონო?
აღმა-დაღმა ვეხლები არეს,
მაგრამ ამაოდ,
არც მხსნელი ჩანს, არც სიტყვის მთქმელი!

4.
ამდენ ვაებას
ხომ არა სჯობს უკვალოდ გავქრე
თუმც რატომ? რისთვის?
მოპასუხე ამის ვინ არი?
ანდა დავუსხლტე
სულში მბორგავ ფიქრების ნამქერს,
რომ ცხადის არსის შთაგონებად
იქცეს სიზმარი!

5.
ბოლოს მოვირგე, როგორც იქნა,
დროის ნალბანდი
ხან იმედის ცეცხლს ვეფიცხები,
ხან ღმერთს მადლს ვწირავ,
მერე წყალობის მოლოდინში
სადღაც გავქანდი
და სხვა სამყაროს არადმაქნის
ვიქეცი გმირად!

6.
ვტკეპნი გზა-შარას, თავდახრილი,
აქედან იქით
და არც მაფიქრებს, რომ ჩემი გზა
გზა ხსნისას არ ჰგავს,
შორიდან თვალი
ხარბად ძღება მაგიურ ჯიქნით
თუ ახლოს მივალ მკაცრი ხელი
ამომდებს ლაგამს!

7.
ეგებ სურნელიც შორეული,
დამატკბობელი,
შვებაა კიდეც სხვის ჩრდილის ქვეშ
დადგმულ ფიტულის,
რომ უუფლებო ბინადარი
მე ვარ მფლობელი
სრულუფლებიან მოქალაქის
მაღალ ტიტულის!

8.
ფიქრის წყვდიადში გული მუდამ
უთქმელ დარდს მალავს,
ვერანაირი გადაგება
მის ამ ხვედრს ვერ ცვლის,
თვით არსებობის არსის ძალით
მოითხოვს ღალას
წვავს სულის ჩამქრალ ლაბირინთებს
იდუმალ ცეცხლით!

9.
და გაგლეჯს ხოლმე
ზოგჯერ იგი დაგმანულ კარებს
წარმოუდგენელ გააზრების
წამლეკ ნაკადით,
სასომიხდილი სხივს სახიერს
მივაპყრობ თვალებს,
რომ ჩემში ჩაკლას ჩათესილი
ჩრდილის სახადი!

10.
უძლეველია უფლის ნება,
მადლმოსილება,
თუმცა ლოდინის ბურანიდან
ვერ გამოვდივარ,
და, ახლა არა მომავალის გამობრწყინება,
ხმელ სასთუმალზე გატრუნული
ცივი ლოდი ვარ!

11.
და, ის-ის იყო, ხვედრს დავნებდი,
რომ უცხო შუქმა
ელვისებურად გაანათა ჭერი, კედლები
და საბოლოო
განსჯისათვის აქ შეაგუბა
უაზრო ფიქრთა ნიაღვარი
ბედზე ყვედრების!

12.
თუმცა აღსავსეს ჯავრით მაინც
ეს გაელვება
ვერ ამომეხსნა ცხადი იყო თუ ხსნა
სიზმრიდან?
ანდა ამზოხი შინაგანი, ან შენანება
ვის გადმოჰქონდა ჩემს სინდისში
სულის სკივრიდან?

13.
მიჭირდა ახსნა
და თან რწმენის კედელს არყევდა
მწარე კითხვებში განაბული
ეჭვი წყეული,
გულში რა დუღდა?
ამა ქვეყნის დვრიტა და სევდა,
თუ ხიბლი დროსთან გარიგების
ეშმასეული!

14.
იტრიალებდა ალბათ, დიდხანს
ფიქრების ჯარა,
უსასრულობად იქცეოდა
ჭმუნვა გამჩენის,
რომ ექოსავით არ გადევლო
შეძახილს: – არა!
მხარზე არ მეგრძნო სიცხოველე
კაცის მარჯვენის.

15.
გამოქცეოდა გარდასულ ჟამს
გზას მოკვალავდა,
მეც ავედევნე,
რამე მეთქვა რას შევბედავდი,
სხივმოსილ სახეს უხილავი
ლანდი ფარავდა,
მე კი სიზმარში, როგორც ცხადში,
ისე ვხედავდი.

16.
ასე გამოვვლეთ
კლდოვანიც და ნარ-ეკლოვანიც,
ყოველ ნაბიჯზე
ხიფათს ვგრძნობდი,
მაგრამ მშველოდა,
ის მოდიოდა შემართული და ახოვანი
და, ვით ბერმუხას
დათოვლილი თმა დაფენოდა!

17.
მისივე მზერამ მაიძულა
გადამელახა
უფრო თამამად
რიდისა და კრძალვის საზღვარი,
თვალთ დამიბნელდა,
ასეთი რამ ჯერ არ მენახა
წინ მიმიძღოდა კაცის ჩონჩხი
მხარზე ტაძარით!

18.
ელდანაცემმა ცას შევყვირე,
თუმც ხმა ვერ დავძარ,
შედგა, უმალვე განმარიდა
შიშის სატანას,
თავისთან მიხმო, მტკიცედ მითხრა:
-იცოდე, ტაძრის,
იმ მაღალ ქედზე შენ მოგიწევს
ახლა, ატანა!

19.
გააზრებაც კი ვერ მოვასწარ,
რომ უმალ ვიგრძენ
მხრებზე სიმძიმე,
და სიმაღლე ჩონჩხის თნევანის,
ფეხის გადადგმა გამიჭირდა
წავიბორძიკე...
და ნდობით მიწას დავებჯინე
ხელის მტევანით!

20.
-არ ჩაიმუხლო!
-არ დაეცე! - განწირულმა ხმამ
გაჰკვეთა ჯანღი,
გააღვიძა ცა საფიცარი,
მიწამ, რომელიც შემწედ მედგა
უზე გაიხსნა
და ამოფრინდა ცხრა აჩრდილი,
ვით ცხრა ისარი!

21.
მხარი შემიდგეს, შემაგებეს
მზერა მედგარი
გამითავისეს მეც ლანდშივე
გარდასახული,
ნათლად ვხედავდი,
რომ ცხრა ჩონჩხის ცხრავე მხედარი
ერთ ტოლფასოვან
ხმალ-აბჯარით იყო ასხმული!

22.
რა წამს შემიცნეს გულდამჯდარი
გაუჩინარდნენ,
სიტყვა არ უთქვამთ
შემოსილებს ციურ ნათელით,
ნეტავ დამაშვრალს გზა უვალი
რის ფასად მანდეს?
ანდა დუმილით
ხომ არ მითხრეს თავის სათქმელი?!

23.
გულთან ჭიდილში
სისხლის ბოლო წვეთ მონაწური
და უფლის ნებით თავდახსნილი
ცოდვის მიჯნიდან,
გზას ვადექი და რა მეგონა
თუ ახლა სავალს
უსახურ ბრბოთა ნიაღვარი
გადამიჭრიდა.

24.
უწინ თუ მაინც გარს მივლიდნენ
პარვით, ფარულად
ახლა ზედ კვალში ჩამდგომოდნენ
ცბიერ ამქრებით,
ხან ოქროს თევზით მაბრიყვებდნენ,
ხან ვერაგულად
გზას მიხერგავდნენ
უჩვეულო წარმონაქმნებით!

25.
ზურგზე ეკიდათ
ბირჟები და ოქროს სახლები
ცათამბჯენებში სულს ღაფავდა
წესთა რაობა,
ცოდვის თეატრად გარდასახულ
ბანქოს დახლებზე
ტკბობით სიკვდილის
მქუხარებდა სანახაობა!

26.
ბნელ სარკეებთან
თითებს მკრთალად ჩამოებანათ
შუბლზე ნაკაწრი
დედააზრი დემოკრატიის
და ცხელ თავებში ღამით ნაჩეკ
ცივ ომობანას
დღისით ფუთავდნენ
სათნოების მტრედის ქარტიით!

27.
კორტნიდნენ, გლეჯდნენ ცოდო-ბრალით
თვალდავსილ ზენას
ნავთობის ნერვზე გამობმული
რკინის სვავები,
ადამის მოდგმას უხსენებლის
აედგა ენა
ღვთის ქმნილი სახე შეეცვალათ
მხეცის თავებით!

28.
დროს შესეული თხუნელები
ძირკვავდნენ წარსულს
ყოველ ღირებულს ლაფში სვრიდნენ,
ზნეს აშარდავდნენ,
სულს ნათლით მოსილს შხამს ანთხევდნენ
თავად ავსულნი
და დიდ წმინდანებს
უწმინდური ენით შანთავდნენ.

29.
ცრიდნენ სიბილწით
იქს-დემონნი უწყინარ ზომბებს,
სოდომ-გომორის ბრეს აკრავდნენ
მდედრებს მამრები,
სამყაროს ყელზე დაეხვიათ
ზე ტახტის მპყრობელთ
ჯიხადისა და იმპერიულ
მარკის ქამრები!

30.
ამ ქარცეცხლიდან
თავის დახსნის ბედის მძებნელი
ვგრძნობდი თანდათან
ცივდებოდა გამბედაობა,
დროს წარეტაცა გულისცემა
ბერდიდ მხლებელის
მეც, ალბათ, მალე ვიქცეოდი არარაობად...

31.
რომ ანაზდეულ,
თითქოს იგრძნეს დაფალმანდება
სულის და სევდა-საწუხარი
უხმო ვედრების,
ერთხმად იქუხეს
გარინდულმა ზეცად ლანდებმა
და ნისლს ჩამოჰყვნენ
სულჩადგმული ჩონჩხის მხედრები!

32.
გამოექანენ
ნისლისფერი ნისლა-ველურით
ჯაჭვის პერანგებს
შეხმობოდათ სისხლის ღვარები,
ცეცხლის ღვარცოფი გადაკვალეს
დავითფერულით
ჯვარ ანატვიფრი
გადამაჭდეს მყისვე ფარები!

33.
ჩანდა, რაც ჭირდათ,
დღეს იხდიდნენ
ვალს წარსულისთვის,
იარად აჩნდათ ისტორიის ის მწარე
გვერდი
და, სწორედ ახლა, ამ წუთებში
სამას ჩონჩხისთვის
ბეწვზე ეკიდა ხელმეორედ
კრწანისის ბედი!

34.
რა წამს წარსული
ბედკრულ აწმყოს გადაეფარა,
გული გაფიცხდა
ფარების ფრთებს შეფარებული,
განა ტაძარი?
მე მარადი სული მებარა
და ვიყავ გენით მომავალში
დამკვიდრებული.

35.
მე მერგო ხვედრად
სიცოცხლის წილ გადამერჩინა
საუკუნეებს გამოვლილი დანაბარები,
გული მტკიოდა უკვდავ სულის
მკვდრებს რომ ეჭირათ
ცოცხლების ნაცვლად, თავგანწირვით,
ისევ ფარები!

36.
და დავადექი
მეც გზას მძიმეს კვლავინდებურად
ურდოც ყოველგვარ ხრიკით ცდილობს
ავის მზრახველი,
რომ გადავიქცე არსებული
არარსებულად
და ჩემს მომავალს უგვარტომოს
შერჩეს სახელი!

37.
ჩამოდგა ჟამი,
რომ მიმეღო ცხოვრების წესად
სამადლო ყოფა უცხო კარზე
ლიქნით და თმენით,
ან ამერჩია ბეწვის ხიდი
სიცოცხლის ფესვად
მარადიულად არსებობის
არსობის რწმენით!

38.
ანაზდად ელვა გადაეწნა
სალი კლდის კასკადს
სუნთქვა შემეკრა,
თითქოს ჩამჩრეს ნარ-ეკლის ფორჩხი,
წყალმა იფეთქა
და ჯვრით ხელში შემოჰყვა ნაკადს
ნათლით მოსილი
ათასობით მოწამის ჩონხი!

39.
ერეკებოდა დაღლილ ღრუბლებს
გულქვა ქარბუქი,
ბედის ბორბალი ღრმა მორევში
მძიმედ ბრუნავდა,
დაღარულ ტინზე ჩონჩხი იდგა
უცხო ჭაბუკის
და მკერდდაშანთულს
ვაზის ლანდი ცრემლს აწურავდა!

40.
მეწამულ ფერის ზვირთებიდან
მოჩქეფდა წყარო,
არე ბრწყინავდა,
თავს ვებრძოდი, უხმოდ ვკიოდი,
ვხედავდი იდგა აქ პირისპირ
ორი სამყარო,
მე კი არჩეულ ბეწვის ხიდზე
გადავდიოდი!

◎ ტატამზე

უკეთ, ვიდრე შარშან

თბილისის შარშანდელ პირველ გრანდ სლემზე საქართველოს ნაკრებმა 9 მედალი მოიპოვა და გუნდურ ჩათვლაშიც გაიმარჯვა, ამიტომ სრულიად საფუძვლიანად ვიმედოვნებდით, რომ ლაშა გუჯეჯიანის გაწვრთნილი „ჯვაროსნები“ წლეულსაც ბევრ სიხარულს მოგვანიჭებდნენ.

ვარაუდი გამართლდა – მასპინძლებმა სამდღიანი ტურნირის სასტარტო ორთაბრძოლები გრაფიკის გადაჭარბებით დაასრულეს და დიდი ნაბიჯი გადადგეს საბოლოო წარმატებისკენ.

მართალია, ყველაზე მჩატე – 50 კგ წონითი კატეგორიის გამოკვეთილმა ფავორიტმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ლუხუმ ჩხვიმიანმა ამჯერად გაგვაწბილა, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ყველაფერი მაინც ქართული ფინალით დაგვირგვინდა, რომელშიც შარშანდელმა ჩემპიონმა **თემურ ნოზაძემ** ტატამის მომავალი დიდოსტატი გიორგი სარდალაშვილი დაამარცხა და ტიტული შეინარჩუნა.

მხოლოდ „ბრინჯაოს“ დასჯერდა 66 კგ წონითი კატეგორიის ასევე ელიტური ძველგვარდიელი ვაჟა მარგველაშვილი, თუმცა ტრავმის გამო ფინალში მოლდოველ დენის ვიერუსთან საჭიდაოდ ვერც მისი მძლეველი თანამემამულე – გიორგი თუთაშვილი გამოცხადდა. და ბოლოს – ასევე მესამე ადგილი დაიკავა **ეთერ ლიპარტელიანმა** (57).

პარტნიორთა მიერ ჩაყრილმა სასიკეთო ნერგმა მეორე დღესაც იხარა, როცა მწვერვალს ჩვეული ღირსებებით შეუტიეს ჩვენებურთა აღიარებულმა ლიდერებმა.

საქართველოს დელეგაციას მეორე „ოქრო“ ყველა უმაღლესი წოდების მფლობელმა **ლაშა შავდათუაშვილმა** მოუტანა (73), რომელმაც ფინალში იაპონელი მეტოქე დაამარცხა (ამავე წონაში მესამე პრიზიორი გიორგი ტერაშვილი გახდა), ხოლო 81 კილოში „ვერცხლი“ დაიმსახურა კორეელთან წაგებულმა **ტატო გრიგალაშვილმა**.

◎ ფიცარნაგზე

დავითაძემ იდავითა

დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში მიმდინარე ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე თანაგუნდელებს ღირსეულად აუბამდა მხარს საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი რევაზ დავითაძე (89 კგ).

ისე აგიხდათ ყველაფერი კარგი – მან ჩვენი დელეგაციის ყულაბაში ორჭიდში მოხვეჭილი „ბრინჯაო“ ჩააჩხრიალა, რაც „ჯვაროსანთაგან“ აღნიშნულ ფორუმზე მოპოვებული უკვე მერვე მედალი გახლდათ.

რაც შეეხება ცალკეულ მოძრაობებს, რეზიმ ატაცშიც და აკვრაშიც მეოთხე ადგილები დაიკავა – 369 (171-198).

ტურნირის ტრიუმფატორი სამი „ოქროთი“ იტალიელი პიცოლატო გახდა, ხოლო მეორე პრიზიორი (თურქეთი) ჯერ 18 წლისაა!

„ჯვაროსანთათვის“ მედლების წვიმა შაბათსაც გაგრძელდა: ჯერ იყო და გიორგი ჩხეიძემ (109 კგ) ერთბაშად 3 „ვერცხლით“ გაგვამდიდრა, თანაც ატაცში ერთ-ერთ ცდაზე ფიცარნაგზე ფეხი რომ არ დასცდენოდა, კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ გახედვაც შესაძლებელი გახლდათ, ხოლო დღის ბოლოს ატაცსა და ორჭიდში „ბრინჯაოს“ დუბლი **ანასტასია გოტფრიდმა** (87 კგ) შეასრულა. სამწუხაროდ, მას უფრო ძვირფასი ჯილდოსათვის ბრძოლაში ხელი მსაჯებმა შეუშალეს, რომლებმაც მაჯაზე დახვეული ისტორიული სამშობლოს – უკრაინის სიმბოლიკიანი სამკლავურის გამო პირველივე ცდაზე ნაჩვენები შედეგი გაუუქმეს.

◎ ბატუტზე

„ოქრო-ვერცხლი“ იტალიიდან

რიმინიში გამართულ ბატუტზე მხტომელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა მორიგ წარმატებას იუნიორებში მიაღწია.

მაია ბოჭორიძისა და **ანა ლაპიაშვილის** წყვილმა სინქრონულ ხტომებში ფინალში ასპარეზობის უფლება მეხუთე შედეგით მოიპოვა, მაგრამ მედლისთვის ბრძოლაში საუკეთესო შედეგი დაიმსახურა და ჩემპიონობა მოიპოვა. ერთი დღით ადრე გუნდურ ასპარეზობაში ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლები მოიპოვა ჩვენმა ოთხეულმა – **ლუბა გოლოვინამ, ანანო აფაქიძემ, თეონა ჯანჯღავამ** და **სოფიო დაშნიანმა.**

◎ ერთა ლიგა

ბიჭებმა დაგვაჯერეს

მართალია, გიბრალტართან სასტარტო შეხვედრამდე ზურგს ოთხიდან ოთხივე მატჩის მოგება გვიმაგრებდა ბურთების შეფარდებით 13:2, მაგრამ გასათვალისწინებელი იყო რამდენიმე ფაქტორი:

უპირველესად, აღსანიშნავია, რომ სტუმართა ნაკრების საბაზო კლუბმა „ლინკოლნმა“ წლეულს კონფერენსლიგის ჯგუფურ რაუნდში ითამაშა, რასაც ჩვენ უკვე 18 სეზონია უშედეგოდ ვნატრობთ; საყურადღებო გახლდათ ამ გუნდის ბოლოდროინდელი პროგრესიც – ორ ამხანაგურ სპარინგში მას ბურთი არ გაუშვია; და ბოლოს, 57 წლის ურუგვაელ მწვრთნელ **ხულიო სესარ რიბასის** გამოცდილება, რომელიც ჯერ სამშობლოში პოპულარულ „პენიაროლს“, ხოლო მოგვიანებით ომანის ნაკრებსა და იტალიურ „ვენეციას“ ავარჯიშებდა.

საბედნიეროდ, ეს არგუმენტები „ჯვაროსანთა“ პირველად შეკრებილმა თითქმის იდეალურმა შემადგენლობამ დაამსხვრია, სადაც ვილი სანიოლმა ადგილი მართლაც რჩეულებს გამოუძებნა.

საქართველო - გიბრალტარი
4:0
პირველი ტაიმი – 2:0

გოლები: კვარაცხელია, კაშია, მიქაუტაძე, ყაზაიშვილი.

გეთანხმებით – სუსტ მეტოქესთან მოპოვებული გამარჯვებით ეიფორიაში არ უნდა ჩავვარდეთ, მაგრამ აქ საუბარია სწრაფად პროგრესირებად ხარისხსა და კონკურენტების – ბულგარეთ – მაკედონიის მიერ ჩვენთვის ფრიად საინტერესო 2-2 ქულის დაკარგვაზე – 1:1.

ვიმედოვნებთ, „ჯვაროსნები“ კიდევ უფრო ირწმუნებენ საკუთარ შესაძლებლობებს და ღირსეულად გაუმკლავდებიან ოპონენტებს, რომლებსაც არაფერში ჩამოუვარდებიან.

* * *

გუშინ. კოშიცე (სლოვაკეთი). ევროპის ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში. საქართველო – მონტენეგრო 2:0.

მსაჯებსაც გვიფასებენ

ქართველი მსაჯი სულხან ჩიხლაძე ივლისის შუა რიცხვებამდე სამი მაღალი დონის 7-კაცა ტურნირს იმსაჯებს.

11-12 ივნისს პორტუგალიაში, ქალაქ ალგარვეში მასპინძელთა, საქართველოს, ჰონკონგისა და სხვა ქვეყნების ნაკრებების გარდა, ისეთი კლუბებიც ითამაშებენ, როგორებიც სამხრეთ აფრიკული „ბლუ ბულზი“ და ინგლისური „ვოსპსი“ არიან. სწორედ ამ კერძო ტურნირზე მიიწვიეს მსაჯად სულხან ჩიხლაძე.

„7-კაცა რაგბი განსაკუთრებით მიყვარს, რადგან მოედანზე სივრცეები ბევრია და შესაბამისად, თამაშიც დინამიურია. მოხარული ვარ, რომ ჩემი წინსვლა გრძელდება და ასეთი მაღალი დონის ტურნირებზე უკვე პერსონალურად მიწვევენ. აქ რაგბი ევროპის ჩემპიონატის მონაწილე ნაკრებების გარდა, თამაშობენ მსოფლიო მასშტაბით ცნობილი გუნდები. ეს იქნება კარგი მოსამზადებელი ეტაპი ოფიციალური ჩემპიონატების წინ, რაც ჩემს კარიერაში კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია“, – ამბობს სულხან ჩიხლაძე, რომელიც 1-3 ივლისს რაგბი ევროპის კაცთა, ხოლო 9-10 ივლისს 18-წლამდელთა ჩემპიონატებს იმსაჯებს:

„შარშან რაგბი ევროპის „ალაფაზე“ ვიმსაჯე და დიდი გამოცდილება შევიძინე. დეკემბერში ვიყავი დუბაიში, სადაც სამი დღის განმავლობაში ძალიან ბევრი თამაშის მსაჯობა მომიწია, მათ შორის ერთ-ერთი ტურნირის ფინალისაც. რაგბი ევროპის წარმომადგენლების მუდმივი დაკვირვების ქვეშ ვარ და როგორც ჩანს, მოეწონათ ჩემი ხედვა და ამიტომაც მივიღე მათი ეგიდით ჩატარებულ უმაღლეს ჩემპიონატზე დანიშვნა“.

რაგბი ევროპის ეგიდით გასამართ სხვადასხვა დონის ტურნირებზე მიიღეს დანიშვნები სხვა ქართველმა მსაჯებმაც: გასულ უქმეებზე სერბეთში, კაცთა ევროპის ჩემპიონატის კონფერენც1 დივიზიონი იმსაჯა **გიგა მშვენიერაძემ**; 7-ქალას „ალაფის“ ორივე ეტაპზე, ხორვატეთსა (11-12 ივნისი) და უნგრეთში (17-18 ივნისი) **ნინო ელოშვილია** მიწვეული, ხოლო 8-9 ივლისს პოლონეთში, 18-წლამდელ გოგონათა ჩემპიონატზეა მივლინებული **ანა პოღოსიანი.**

◎ ოვალური ბურთი

სასურველი ბონუსით

ქარის თასის რეგულარული გათამაშების ბოლოსწინა ტურში „შავმა ლომმა“ უშუალო კონკურენტი „იგლზი“ სასურველი ბონუსით – 42:27 დაამარცხა და ფლეი ოფისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.

მე-8 ტურის დანარჩენი შეხვედრები ხვალ გაიმართება და შესაძლოა, 24-ქულიანმა „შავმა ლომმა“ ამჟამინდელი მე-3 ადგილი დათმოს, მაგრამ დასკვნით ტურში „ლეოპარდზთან“ ბონუსით მოგების შემთხვევაში ქართულ გუნდს ფლეი ოფში თამაში გარანტირებული ექნება.

ტურნირში აქამდე ჩატარებულ 5 თამაშს შორის „შავი ლომისთვის“ ეს ყოველმხრივ საუკეთესო იყო, რაც გარკვეულწილად „იგლზმაც“ განაპირობა, რომელიც ასევე ყველაზე ძლიერი იყო აქამდელ მეტოქეებს შორის. ქართულ ფრენჩაიზს ხარისხიანი დაცვის ვარჯიში გამოუვიდა ძლიერ მოწინააღმდეგესთან და შეტევაშიც წარმატებით აკინძა ფაზები, რის შედეგადაც 6 ლელო გაიტანა და **ლუკა მატკავამაც** ყველა გარდასახა.

„იგლზი“ ჯარიმით მე-6 წუთზე დაწინაურდა, თუმცა საქართველომ იქვე შეძლო მეტოქის წნეხში მოქცევა, ჯარიმა აუტში გადაიტანა, მოლის შემდეგ ლელომდე სანტიმეტრები დააკლდა, თუმცა ძალისმიერი იერიში მესამე მიძალებით **ნოდარ ჭეიშვილმა** დაასრულა. მასპინძლებმა ჯარიმით ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანეს, მაგრამ მე-16 წუთზე ჯარიმით არ ვუპასუხეთ, დერეფნის შემდეგ ბურთი ხაზზე გავიტანეთ და რამდენიმე დარტყმის შემდეგ **მიხეილ ბაბუნაშვილმა** ლელო გაიტანა.

„შავი ლომი“ ძალისმიერ თამაშში დომინირებდა, დერეფანშიც უშეცდომოდ თამაშობდა და სუფთად მოგებული ბურთის შემდეგ 26-ე წუთზე აგორებული მოლი **შალვა მამუკაშვილის** ლელოთი დასრულდა. აფრიკელები გააქტიურდნენ და სახიფათო შეტევების სერია მოაწყვეს, მაგრამ დაცვა მედგრად დადგა, 35-ე წუთზე ხელდახელ, 13-ფაზიანი შეტევა განახორციელა, რომლის დროსაც 45 მეტრი დაფარა. შეტევაში თითქმის მთელმა ჩვენმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა, მერაბ შარიქაძემ, მიხეილ ბაბუნაშვილმა და თორნიკე აქუბარდიამ დაცვის ზღუდეები გაარღვიეს, 5-მეტრიანთან კი გამოცდილმა **გიორგი ბეგაძემ აქუბარდიას** ზურგსუკან პასი გაუკეთა და მანაც ლამაზი შეტევა ლელოთი დააგვირგვინა.

ეს „შავი ლომისთვის“ მეოთხე, ბინუსის მომტანი ლელო იყო. ტაიმი 22-ქულიანი უპირატესობით უნდა დაფიქსირებულიყო, მაგრამ დასკვნით წუთებში დაშვებულ შეცდომას ჯერ შარიქაძე შეეწირა სინბინით, მერე კი აფრიკელებმა ფრთაზე მეტობა გაითამაშეს და ლელო გაიტანეს – 28:13.

მიუხედავად კაცნაკლულობისა სტუმრებმა მეორე ტაიმიც აქტიურად დაიწყეს, ფორვარდებმა მოკლე დარტყმების სერია აკინძეს და **ლუკა ივანიშვილმა** ლელო გაიტანა. „იგლზმა“ გააფთრებით შემოგვიტია და 56-ე წუთზე მოედანზე ჩხუბი აგვიტეხა, რასაც სანდრო მამამთავრიშვილის წითელი ბარათი მოჰყვა. „იგლზმა“ მეტობით ამჯერადაც ისარგებლა, ორი ლელოს გატანა მოახერხა, ორივე გარდასახა და სხვაობა 8 ქულამდე დაიყვანა. შეხვედრის მიწურულს „შავმა ლომმა“ შეძლო ბურთზე კონტროლის აღდგენა, მეტოქის ლელოს ნაბიჯ-ნაბიჯ მიუახლოვდა და მოლი **თენგიზ ზამთარაძის** ლელოთი დასრულდა, მატკავამ კი კარში დარტყმების 100%-იანი მაჩვენებელი შეინარჩუნა – 42:27.

რეგულარული გათამაშების დასკვნით მატჩს ჩვენი გუნდი 11 ივნისს გამართავს.

სანთელი

გარდაიცვალა რეჟისორი თემურ ჩხეიძე



რეჟისორი თემურ ჩხეიძე 78 წლის ასაკში გარდაიცვალა.

თემურ ჩხეიძე 1943 წლის 18 ნოემბერს, თბილისში დაიბადა. 1965 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი.

1965-1967წწ. იყო ზუგდიდის დრამატული თეატრის, 1967-1970 წ.წ. მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის, 1970-1980 წწ. რუსთაველის თეატრის, 1980-1990 წწ. მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორი. 1981-1988 წწ. საქართველოს სატელევიზიო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის პედაგოგი (1969 წლიდან მცირე ინტერვალებით). 1991 წლიდან არის სანქტ პეტერბურგის დიდი დრამატული თეატრის რეჟისორი, 2004 წლიდან მთავარი რეჟისორი, 2007-2013წწ. სამხატვრო ხელმძღვანელი. დადგმული აქვს 80-მდე დრამატული, საოპერო და სატელევიზიო სპექტაკლი, მათ შორის, მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

2013 წელს რეჟისორმა დაიმსახურა ილიას მედალი (მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა) ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისათვის;

2010 წელს გახდა თბილისის საპატიო მოქალაქე;

1997 წელს დაიმსახურა სანქტ პეტერბურგის უმაღლესი თეატრალური პრემია „ოქროს სოფიტი“, რეჟისორის საუკეთესო ნამუშევარი, ჟან ანუის „ანტიგონეს“ დადგმისათვის;

1986 წელს გახდა ლენინური პრემია;

ფლობს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიას;

კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიას, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის პრემიას;

საქართველოს თეატრალური პრემიას „ოქროს ნიღაბი“, „ორგზის მფლობელი“ და სხვ.

თემურ ჩხეიძე გამორჩეულ ფიგურად დარჩება ქართული კულტურის ისტორიაში

„ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ დიდი ქართველი რეჟისორის, ბატონი თემურ ჩხეიძის გარდაცვალების გამო.

ბატონი თემურის უნიკალური ხელწერით შექმნილი, ღრმა ჰუმანიზმით განმსჭვალული სპექტაკლები მაყურებელთა არაერთმა თაობამ შეიყვარა და მსოფლიო თეატრალური საგანძურის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. იგი გამორჩეულ ფიგურად დარჩება ქართული კულტურის ისტორიაში.

ამ მძიმე წუთებში სამძიმარსა და თანადგომას ვუცხადებ ბატონი თემურის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს“...

ირაკლი ღარიბაშვილი

დიდი თემურ ჩხეიძე დაკარგა ქვეყანამ!

„დიდი თემურ ჩხეიძე დაკარგა ჩვენმა ქვეყანამ. ბოლო დღეებში, იმედით შევყურებდით განგებას და გვჯეროდა, რომ ეს არ მოხდებოდა. განუზომელია დანაკლისი, ამის შესახებ ბევრი ითქმება და დაიწერება.

ჩემი ვალია, გითხრათ მადლობა, ბატონო თემურ. მეგზურობისთვის, ღიმილისათვის, რჩევისა და დახმარებისათვის! ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული. ვიზიარებ ქალბატონი ნანისა და დიდი, სახელოვანი ოჯახის ამ დიდ მწუხარებას! გისამძიმრებთ ყველას“!

თეა წულუკიანი

ი. ჭორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.
მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

◎ ჟურნალისტის ჩანაწერები

როგორ გადაარჩინა ზვიად გამსახურდიას ოჯახი ილია ელოშვილის მამამ...

„1989 წელია“.

ზვიად გამსახურდია „კავკასიური სახლის „შექმნის იდეას, ჩეჩნეთის გარკვეულ წრეებთან ერთად აქტიურად ახორციელებდა და შესაბამისად გროზნოში ჩასვლაც ხშირად უწევდა“.

9 აპრილი უკვე მომხდარია“.

ამიტომ,ზაფხულში ყაზბეგს ხშირად სტუმრობდა ოჯახთან ერთად და როგორც წესი, სასტუმრო „ინტურისტში“ ლუქსში იყო დაბინავებული,სადაც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასულ ეროვნული მოძრაობის ლიდერებსაც ხვდებოდა ხოლმე...

დამსვენებლებით გადავსებულ სასტუმროში, როგორც რიგითი მოქალაქეების ოჯახები, ისე სპეცსამსახურების ოჯახებიც ისვენებდნენ და ყველამ კარგად უწყოდა, რომ ხვალზეგ გამსახურდია პრეზიდენტი გახდებოდა...

ზვიადთთან კოორდინაციაში, მეც მქონდა დავალებული ძალზედ სარისკო საქმე და ამის შესახებ ძალიან ვიწრო წრემ იცოდა.ამიტომ ყაზბეგში ყოფნისას, მეც მუდმივად იქ ვიყავი და ვიდრე დავალებიდან დავბრუნდებოდი,ზვიადი, მანანა, პატარა ცოტნე, გიორგი და ჩემი შვილი ბექა სულმოუთმენლად მელოდნენ...

„მოხვედი შე წყეულო“? — ამ სიტყვებით მეგებებოდა ზვიადი და კმაყოფილების დროს მას რომ ახასიათებდა, ისე ჩაიცინებდა ხოლმე... მერე სასტუმროს სასადილოში სავახშმოდ ჩავდიოდით და მანანა, გიორგის და ბექას ერთდროულად უტევდა „ნელა ჭამეთ, ვიღაცას მშივრები ეგონებით და თავს ნუ გვჭრითო“...

მოკლედ, ერთხელაც გვიან ღამით დავბრუნდი, ზვიადს ვუპატაკე შედეგის მოკლე შინაარსი, გავიყვანე ბექა და მათი ნომრის გვერდით მდებარე ჩვენს ნომერში ცოცხალმკვდარმა კარები ჩავკეტე...

ასე დილის 4 საათზე კარებზე გამწარებული კაკუნი მესმის... წამოვხტი, რომელი ხართქო, დავიძახე და თან სასწრაფოდ უჯრაში ჩადებული პატარა ნაგანი ამოვიღე, ამ დროს მოკეთე არავინ მოვიდოდა და გავემზადოთქო...

კარს მიღმა ზვიადის ხმა ეგრეევე ვიცანი,„სუკმა დივერსია მოგვიწყო, გაზის მილი დააზიანეს ჩემს ფანჯრებთან, ყარს აქაურობა, სასწრაფოდ გამოიყანე ბავშვი და დაბლა ჩამოდით, მანქანას დავქოქავ და წავედით აქედან...

— მოიცა, შუქს ავანთებ და ეგრეევე გამოვალ — ვუპასუხე...

— სკოლაში ფიზიკა არ გისწავლია, არ გაბედო შუქის ანთება, ავფეთქდებით, მიპასუხა გამწარებულმა...

შეშინებული გიორგი სააბაზანოში ჩაკეტილა და მათი ნომრიდან მანანას წიოკიც გავიგონე „გააღე შე არანორმალურო, თორემ კარს შემოვამტვრევთ... 2 წუთში შევედით მე და ბექა მათ ნომერში და ზვიადი უკვე სააბაზანოს კარებს მთელი ძალით ეჯაჯგურებოდა ბავშვის გამოსაყვანად...

გიორგი დღემდე განსაკუთრებულად მიყვარს, იმიტომ რომ, ჯერ ერთი ძალიან ლამაზი, მერეც — ძალიან ჩატუნტულებული, მუდმივად აჩაჩულ-დაჩაჩული ონავარი ბავშვი იყო, მაგრამ ვინც უყვარდა იმას 1 სიტყვაში უჯერებდა და როცა შეშფოთებული ინტონაციით ვუთხარი „გიო, კარი გაღე, გოგოსა ვარ, სასწრაფოდ თბილისში უნდა წავიდეთთქო, კარი ეგრეევე გააღო და ექვსივემ ერთად ჩამოვირბინეთ მესამე სართულიდან ეზოში...

ვიდრე მანქანას აამუშავებდა, ჩვენ იქვე ვიდექით, რა დროსაც ჭიშკარში „გაზ -24“ შემოვარდა დიდი სისწრაფით და ზედ ჩვენს წინ გაჩერდა... ბავშვებს გადავეფარე იარაღმომარჯვებული და ამ დროს საჭესთან მჯდომი კაციც გადმოხტა ყვირილით — რა ხდება, რა მოხდა, ახლა დამირეკეს სასტუმროდან გამსახურდია ტოვებს სასტუმროსო...

ზვიადიც ეგრევე გადმოვიდა მანქანიდან და ამ კაცს უხსნის, რომ ზედ მის ფანჯრებთან გაზის მილი დააზიანა ვიღაცამ და რომ ეს სპეციალურად მისთვის გააკეთეს, რათა მძინარენი ოჯახიანად გაეგუდათ...

„რას ამბობთ ბატონო ზვიად, ვიდრე მე ვარ აქ, ამას როგორ გაბედავდა ვინმეე? — პასუხობს კაცი, რომელსაც ზვიადი ომარი-თ მიმართავდა“.

— სად უნდა წასვიდეთ, ბატონო ზვიად, რას ამბობთ, ხომ მომეჭრა თავი ჯერ ყაზბეგის რაიონში და შემდეგ საქართველოში როცა გაიგებენ, რომ თქვენ ვერ გიპატრონეთ? დაბრძანდით ჩემს მანქანაში, ოჯახში გამომყევით და ამასობაში სპეციალისტებიც გაარკვევენ რამ გამოიწვია მილის დაზიანება...

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ომარმა გადაათქმევინა ზვიადს თბილისში წამოსვლა და მალევე მისი ოჯახის კარი,სიმპათიურმა ქალბატონმაც გაგვიღო და შეგვიპატიჟა...

მთაში გამთენიისას ძალიან ცივა, მაშინვე ააგუზგუზეს „ფეჩი“ და გამსახურდიას სტუმრობის სამზადისიც გააჩაღეს... „არ არის საჭირო, ამ დილაუთენია რა დროს ეგ არის კაცო, სხვა დროს იყოს, უხერხულია, დაასვენე ოჯახი მძინარეები რომ წამოყარე“ — ეუბნებოდა ზვიადი, თუმცაღა ვატყობდი, რომ კმაყოფილი იყო, ისე იღიმებოდა.

მარტო უფროსები კი არა, ბავშვებიც გააღვიძეს და კარგად მახსოვს თვალებბრიალა ლამაზი ბიჭი, რომელიც თავიდან ბოლომდე გაწითლებული ჯერ ზვიადს მიესალმა, ხოლო შემდეგ ჩვენ... ბავშვები გვერდით ოთახში რომ გაიყვან, ეგაც მახსოვს და ისიც, სუფრას რომ შემოვუსხედით, იმ ომარმა ზვიადს სთხოვა „შენ ითამადე, ყოველდღე კი არ იქნები ჩემი ოჯახის სტუმარი, მეცი პატივი“...

იქ, იმ სუფრასთან გავიგე, რომ ომარი, ყაზბეგის რაიონის რაიკომის მდივანი იყო, გვარად ელოშვილი!

მე, მანანა და ბავშვები მალევე გავედით ჩვენთვის განკუთვნილ ოთახებში და როცა გავიღვიძეთ, ლხინი ისევ გრძელდებოდა, ოღონდაც ახლა უკვე მეზობლების და რაიკომის სხვა თანამშრომლებთან ერთად....

გაირკვა, რომ სასტუმროდან, ასე 200 მეტრში მთვრალი მოხვევე მანქანით გაზის მილს დატაკებია, რამაც ძლიერი დარტყმის შედეგად ჩვენს სასტუმროსთან გამავალი მილის დეფორმაცია და მცირე გაჟონვაც მყისიერად გამოიწვია, მაგრამ მთელი კულმინაცია ის იყო, ის მოხვევე რომ მოაყვანინა ომარმა სუფრასთან და „აი აქ დაჯექი და მოყევი, როგორ გვიკლავდი საქართველოს მომავალ პრეზიდენტსო“... საცოდავი, ბოდიშს ბოდიშზე იხდიდა, არაფერი არ მახსოვს ისეთი მთვრალი ვიყავიო... ზვიადს მაგას ვინ დააჯერებდა? ამიტომ იმავე საღამოს თბილისში დავბრუნდით მეტი უსაფრთხოებისთვის.!

გუშინწინ, რომ ბიჭი წავიდა, სწორედ იმ ომარი ელოშვილის, თვალებბრილა ლამაზი შვილი ყოფილა, რომელსაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვისაც უბრძოლია და რომელიც აგრერიგად ყვარებია ყველას!

მე ის მახსოვს, რომ იმ შემთხვევის შემდეგ, ომარ ელოშვილი ჩვენ ბევრჯერ დაგვხმარებია და როგორც ამბობენ — ნაყოფი ხიდან შორს არ ვარდება! კარგი მამის შვილი, ცუდი ვერ იქნებოდა!

ღმერთმა აცხონოს ომარი და მისი შვილი იმიერ საქართველოში!!

ძალიან მეტკინა გული, ძალიან და ეს ამბავიც, სწორედ ამიტომ გავიხსენე!

ირინა გოგოსაშვილი.

სამთო მომზადების ზაფხულის საბაზისო კურსი დასრულდა

პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში „სამთო მომზადების ზაფხულის საბაზისო კურსი“ დასრულდა. წვრთნებში ამერიკელი და ქართველი სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობდნენ.

კურსი, 3 კვირის განმავლობაში, საჩხერისა და ჭიათურის სასწავლო უბნებზე მიმდინარეობდა. სწავლების განმავლობაში, სამხედრო მოსამსახურეები სამთო აღჭურვილობის მოხმარების წესებსა და ტექნიკურ მონაცემებს გაეცნენ. სამთო სკოლის ინსტრუქტორების დახმარებით, მათ კოლექტიური გადარჩენისა და ევაკუაციის ორგანიზების უნარ-ჩვევები გაიღრმავეს. ქართველ და ამერიკელ სამხედროებს მდინარის, დაბრკოლებათა ზოლის გადალახვისა და კლდეზე დაშვების სავარჯიშოების შესრულებაც უწევდათ. წვრთნების დასასრულს, მსმენელებმა კომპლექსური და ფიზიკური ტესტი ჩააბარეს.

მძლეთამძლენი

მეტს რაღას უნდა მიაღწიოს პლანეტის უღონიერესმა ადამიანმა, დიდების შარავანდედი რომ დაიდგას?

ორგზის ოლიმპიურმა და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონმა, რეკორდების „ფაბრიკამ“ და, უბრალოდ, რკინის კაცმა ლაშა ტალახაძემ გუშინ მეექვსე ევროპული ტიტული მოიხვეჭა და ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში გამართული კონტინენტური ფორუმი საქართველოს ეროვნული ჰიმნით დააგვირგვინა (სულ – 16 მედალი: 4 „ოქრო“, 8 „ვერცხლი“, 4 „ბრინჯაო“).

რაც მთავარია, საამაყო „ჯვაროსანი“ ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება ორჭიდში 500-კილოგრამიან ნიშნულს, რაც აქამდე ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა. დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, თუ ისურვებს, ფიცარნაგის რაინდი მიზანს პარიზის ოლიმპიადამდე მიაღწევს.

გილოცავთ და, გმადლობთ, გოლიათო!

* * *

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სპორტის გვერდში გამოქვეყნებული მასალის სათაური – უკეთ, ვიდრე შარშან – გუშინ საქართველოს ნაკრებმა რეალობად აქცია და თბილისის მეორე გრანდ სლემი ხუთით მეტი – 14 მედალით დაასრულა (5 „ოქრო“, 4 „ვერცხლი“ და 5 „ბრინჯაო“).

პარტნიორებს სტიმული ბექა ღვინიაშვილმა (90 კგ) მისცა, რომელმაც ზედიზედ დაამარცხა ყაზახი ადლეტ მისინი, უკრაინელი არტიომ ბუბირი, თანამემამულე გიორგი პაპუნაშვილი, უნგრელი კრისტიან ტოტი და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შეაბიჯა.

ქართული ფინალით დასრულდა ბრძოლა 100 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში, სადაც ონისე სანებლიძემ გიორგი ბერიაშვილს სძლია. მანამდე „ჯვაროსანმა“ ყაზახი სერიკ სალმენოვი, გერმანელი დანიელ ჰერბსტი და უზბეკი ოტაბეკ ტურაბოევი დაჯაბნა.

ტურნირის ბოლო „ოქრო“ გელა ზალიშვილმა მოგვიტანა (+100), რომელმაც ფინალში უზბეკი ალიშერ იუსუპოვი დაიპონა, ლევან მატიაშვილს კი „ბრინჯაო“ ხვდა ისევე, როგორც სოფიო სომხიშვილს (+78).

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ჟავჟავაძის გამზირი №17ი

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იგეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

პატრიარქი დედოფალ ელისაბედს აღსაყდრების 70 წლისთავს ულოცავს

„თქვენო უდიდებულესობავ, საქართველოს ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით, გულითადად გილოცავთ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ტახტზე აღსაყდრების 70 წლისთავს. დღეს მსოფლიოში თქვენ ბრძანდებით ყველაზე გამორჩეული მონარქი და სამეფო ტახტის ყველაზე ძლიერი და გავლენიანი გამგებელი. თქვენი მოღვაწეობა მთელი ეპოქაა, რომელმაც წლების მანძილზე განამტკიცა თქვენი ქვეყანა განსაკუთრებით რთულ პერიოდებში და წარუშლელი როლი შეასრულა თქვენი სამეფოს ისტორიაში. ყოველთვის დიდი პატივისცემით ვიხსენებ თქვენთან შეხვედრას და ღრმა შინაარსიან საუბარს. შევთხოვ ღმერთს თქვენს დღეგრძელობასა და თქვენი სამეფო ოჯახის შემდგომ წარმატებებს. საუკეთესო სურვილებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი“, – აღნიშნულია წერილში.

პაპი უკრაინაში ჩასვლას გეგმავს

რომის პაპი ფრანცისკე აცხადებს, რომ სურს უკრაინაში ჩასვლა, თუმცა ამისთვის შესაფერის მომენტს ელოდება.

მედიის ცნობით, ამის შესახებ რომის პაპმა ფრანცისკემ სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრისას განაცხადა. 160 სკოლის მოსწავლეს შორის იყო უკრაინიდან ლტოლვილი ბიჭი, რომელმაც ფრანცისკეს ჰკითხა, შეუძლია თუ არა მას უკრაინაში ჩასვლა და იქ მყოფი ბავშვების გადარჩენა.

„მე ვისურვებდი უკრაინაში წასვლას. მაგრამ ამის გასაკეთებლად აუცილებელია, დაველოდო შესაბამის დროს, რადგანაც მარტივი არაა გადაწყვეტილების მიღება, რომელმაც შეიძლება, მეტი ზიანი მოუტანოს მთელ მსოფლიოს, ვიდრე სიკეთე“, – განაცხადა რომის პაპმა. ამასთან, მან აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში ელოდება უკრაინის ოფიციალურ პირებთან შეხვედრას, მისი შესაძლო ვიზიტის დეტალების განსახილველად.

დელავერის რეზიდენციას პრეზიდენტი და პირველი ლედი გაარიდეს

თვითმფრინავთან **დაკავშირებული ინციდენტის გამო, დელავერის რეზიდენციიდან აშშ-ის პრეზიდენტისა და პირველი ლედის ევაკუაცია განხორციელდა,** – ინფორმაციას „სიენენი“ ოფიციალურ პირზე დაყრდნობით ავრცელებს.

ოფიციალური პირის თქმით, ჯო და ჯილ ბაიდენები დელავერის შტატში, დასახლება რეჰიბოთ ბიჩში მდებარე სახლში ისვენებდნენ, როდესაც აკრძალულ საჰაერო სივრცეში მცირე ზომის კერძო თვითმფრინავი შეამჩნიეს. ინციდენტის გამო, აშშ-ის პრეზიდენტისა და პირველი ლედის ევაკუაცია განხორციელდა.

„პრეზიდენტსა და მის ოჯახს საფრთხე არ ემუქრება“, – განაცხადა ოფიციალურმა პირმა. მოგვიანებით, მანვე აღნიშნა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი და პირველი ლედი უკვე დაბრუნდნენ თავიანთ რეზიდენციაში. მედიის ცნობით, მომხდარის შესახებ თეთრმა სახლმა პრესას ინციდენტიდან თითქმის ერთი საათის შემდეგ აცნობა. ამასთან, ოფიციალური პირის ცნობით, აკრძალულ ზონაში თვითმფრინავი შეცდომით მოხვდა და პილოტთან კომუნიკაციის შემდეგ, ის აღნიშნული ზონიდან გაიყვანეს.

ძაღლური ცხოვრება მოენატრა

იაპონიაში **კაცმა, რომელიც ცხოველად გადაქცევაზე ოცნებობდა, თავის მიზანს მიაღწია. კაცი, რომელიც სოციალურ ქსელებში ცნობილია როგორც თოკო, დაუკავშირდა კომპანია Zeppetr-ს, რომელიც კინოსა და ტელევიზიისთვის კოსტიუმებს ამზადებს. სულ რაღაც 40 დღეში და 2 მილიონ იენად (15 700 აშშ დოლარი) მას მაქსიმალურად რეალისტური ბორდერ-კოლის კოსტიუმი დაუმზადეს. კაცი მას იცვამს, ფეხებსა და ხელებზე დადის და თავისი „ძაღლური ცხოვრების“ ამსახველ ვიდეოებს იუტუბზე აქვეყნებს. არხის აღწერაში წერია: „მინდოდა ცხოველი გავმხდარიყავი და კოლი გავხდი“.**

Toko განმარტავს რატომ აირჩია სწორედ ეს ჯიში: „იმიტომ რომ რეალურად გამოიყურება, როდესაც ვიცვამ. ვიფიქრე, რომ დიდი ცხოველი, რომელიც ჩემს ზომასთან ახლოსაა, უფრო რეალისტური იქნება.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 8 ივნისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9707; ევრო - 3.1890
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7315;
100 რუბლი - 4.8440; თურქული ლირა - 0.1800;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7520;
1000 სომხური დრამი - 6.8009.

ამინდი 6 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+28
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+27
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+28
თბილისი:	ღამე	+20,	დღე	+31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge